1149 ∧ 13-341

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჯი ეროვნებისა

5(10) მაისი ● BURJI EROVNEBISA ● 1996 წელი

მარადიული თანამედროვე

11 (23) აპრილს შესრულდა 120 წელი დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან



"ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, ხელისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება".

პეტრე მელიქიშვილი

„ახდა გულის წადილი, ამწვანდება ეროვნული მეცნიერების ნიადაგი... ივანე ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა თვით ქართლურ მძიმე ღრმად მხვნელი გუთნისა!...

ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ...

მივიდეთ ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქური ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სავალად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანური მარადისობისაკენ. ამასთანავე, მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველნი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამნთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაშა! გამარჯვება მარად და მარად!"

მოსე ჯანაშვილი

1918 წ. 23 იანვარი, გაზეთი „საქართველო"

+ აბიტურიენტის ფურცელი

ბესარიონ ჯორბენაძის
საზოგადოების გაზეთი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ბუმბერიძე

დირექტორი
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ბაბუკა ქირია

მხატვრული რედაქტორი
ილია ბრელაშვილი

რედაქტორები:
ქეთევან დათუკიშვილი,
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
გარინე კიკოლიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ბუმბერიძე

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
ბენაფი ბურჯულაძე,
ლეილა ბებუჩაძე,
კორნელი დანელია,
გენანა კობაიძე,
რუსუდან ლანდია
ნანა ურთაშვილი
ზიხეილ ქურდიანი,
ლევან ღვინჯილია,
ბიორგი ფიბანაშვილი,
თამაზ ხვალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მიერიგე რედაქტორი
ნინო ბუმბერიძე

რატომ ვიქმნით პრობლემებს

ბაზალეთზე უნივერსიტეტი უნდა აშენდეს... ამ იდეის მომხრეები დაყინებით იმეორებენ: ეს იქნება არა თურქული, არამედ ინგლისურენოვანი უნივერსიტეტი...

ვთქვათ და ასეა, **არის კი საჭირო და სასურველი საქართველოში არაქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელი?** ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, **თუ ქართულზე უარს ვიტყვით, არის კი პრინციპული განსხვავება იმაში,** საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში **სწავლების ენა რომელი იქნება** — თურქული, ინგლისური, რუსული თუ სხვა?

იქნებ დავფიქრდეთ, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროს „ცარიზმი, ცხადია, თბილისში უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგი იყო" (ს. ჯორბენაძე).

ანდა, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ ასე თავგამოდებით დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების მცდელობას ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე? გავიხსენოთ, რას ამბობს შალვა ნუცუბიძე: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველობითი კილოთი გვირჩევდნენ, ხელი აგვეღო ამ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდება. ქარულ ენას არა აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია; ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელი, უიმედო საქმეაო, გვეუბნებოდა ეს გულშემატკივარი ხალხი... ისინი მფარველობის კილოთი ამბობდნენ: დაგვიჯერეთ, დროს ნუ დაკარგავთ, თავს ნუ მოიტყუებთო..."

არ იყო ეს მხოლოდ „ოლდენბურგებისა" თუ „ვასილიევების" პოზიცია. მაშინაც არაერთი ქართველი აღუდგა წინ ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას. დიდ ივანე ჯავახიშვილს მოვუსმინოთ: „რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი (ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე — რედ.) სასაცილო გულუბრყვილობად მეჩანდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა. რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებელნი, ჭკუის მასწავლებელნი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულიად უნიადაგო და უიმედო განსაზღვრისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველობისათვისავე დამლუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული. კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელიო..."

ეროვნული უნივერსიტეტის მოწინააღმდეგენი მონდომებულნი იყვნენ, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტი გახსნილიყო (ამას სახელმწიფო დააფინანსებს, ქართული უნივერსიტეტი თქვენ უნდა შეინახოთო— „მეგობრულად" ურჩევდნენ...). რატომ?

როცა 1918 წლის მარტში ჩრდილოეთ ოსეთიდან სურვილს გამოთქვამენ თბილისის უნივერსიტეტში განათლების მიღების თაობაზე, უნივერსიტეტის საბჭო ასეთ დადგენილებას გამოიტანს: „გაეგზავნოს მადლობა და ეცნობოს, რომ ლექციები ქართულად იკითხება, ხოლო მიღებით ყველანი მიიღებიან, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა". რატომ ილებს ასეთ დადგენილებას ახლადდაარსებული უნივერსიტეტის საბჭო?

1918 წლის ივლისში ერთ-ერთ სომხურ გაზეთში დაიბეჭდა გ. აბელიანის წერილი „დროა, რომ ჩვენც უნივერსიტეტი გვქონდეს". ავტორი წერს: „ჩვენმა მეზობელმა ქართველებმა თავისი ცხოვრების მოწესრიგება უნივერსიტეტით დაიწყეს და უნდა აღვნიშნო, მათ სწორი გზა აირჩიეს..." რატომ აძლევდა ასეთ შეფასებას ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას სომეხი მოღვაწე?

ყველა ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: **ქართული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მხოლოდ ქართული უმაღლესი სასწავლებელი იყო საჭირო...** აქედან გამომდინარე, **ამ იდეას ის ეწინააღმდეგებოდა, ვისაც ეს არ აძლევდა ხელს...** ქართული უნივერსიტეტის გახსნისთვის იბრძოდა ის, ვისთვისაც ჩვენი ეროვნულობის შენარჩუნება ხისხლხორცეული საქმე იყო...

ქართული უნივერსიტეტის ისტორიისა და დიდი ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარმა, ბატონმა სერგო ჯორბენაძემ ახლახან ერთ-ერთ ინტერვიუში თურქული უნივერსიტეტის თაობაზე ბრძანა: „მე იმდენად არ მაშინებს იჯარით მიწის გაცემა, რამდენადაც თვით ამ უნივერსიტეტის გახსნის ფაქტი. სიფრთხილეა საჭირო... როცა ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტი დააარსა, მაშინვე „აღმოაცენეს" რუსული უნივერსიტეტი, სომხური ფილოლოგიის ფაკულტეტი... ნუ შეიქმნით პრობლემებს".

იქნებ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ: რატომ ხდება ყოველივე ეს, რატომ ვიქმნით პრობლემებს?

მეცნიერის არქივიდან

ბესარიონ ჯორბენაძის არქივში არის ხელნაწერი მონოგრაფია „ენა და ეროვნული კულტურა“. რამდენიმე მონაკვეთი ამ მონოგრაფიიდან უკვე გამოვაქვეყნეთ (იხ.: „ბ.ე.“ №1,2,4,5). ამჟამად გთავაზობთ ერთ-ერთ თავს.

მეტყველება — საზოგადოებრივი ქცევის ფორმა

* * *

არსებობს ასეთი მოარული გამოთქმა: „სტილი — ეს თვითონ ადამიანია“.

ჭეშმარიტებაა. სტილი არსებითად არის ინდივიდუალური მსოფლხედვა, გამოხატული შესაბამისი ფორმით.

ამჟამად ჩვენ ეს საკითხი ერთი სპეციფიკური კუთხით გვაინტერესებს. საქმე ისაა, რომ მეტყველების სტილის პრობლემა არა მხოლოდ მხატვრული ან სამეცნიერო ნაწარმოებების მიმართ დაისმის, არამედ იგი ადამიანთა ყოველდღიური, ყოფითი ურთიერთობის დროსაც იჩენს თავს.

მართლაც, სულ უბრალო დაკვირვებაა საჭირო და ნათლად წარმოჩნდება: თითოეულ ადამიანს ჩვენ არა მხოლოდ მისი გარეგნული იერითა და ქცევით გამოვარჩევთ სხვებისაგან, არამედ მისი მეტყველების მანერითაც, რაც ამასთან დაკავშირებულ ყველა მომენტს მოიცავს: ხმის ტემბრს, კილოს, ლექსიკას, მეტყველების ტემპს, აზრის გამოთქმის თავისებურებებს.

შეგეიმჩნევია ალბათ: ამა თუ იმ ადამიანის დახასიათებისას მეტყველების მისეულ მანერასაც მოიშველიებენ ხოლმე: „მასწავლებელივით უყვარს ლაპარაკი“, „პროკურორის ტონი აქვს“, „ბაზრის დედაკაცივით ყვირის“ და მისთ.

სულიერი დამცრობა ენის დაკნინებასაც იწვევს, გაბუნებული და უსახური გამონათქვამების მომრავლებას, რადგან აზრის გადაგვარება უწინარეს ყოვლისა მეტყველებაში იჩენს თავს.

ენის ალზვევისა და დაცემის ნიმუშები ქართველი ერის ისტორიაში ძნელად საძებარი არაა: ისტორიულმა ჭარტეხილებმა თავისი კვალი დაამჩნია ქართულ ენასაც — მაღალზნეობრივი იდეალების ეპოქა ახალი მზეისნობით მეუბატედა ქართულ სიტყვას, სულიერ გალატაკებას კი ლამის სისხლსაც ძარღვის დაშრეტამდე მიუყვანია ენა: დარბაისლური მეტყველება უბადრუკი ტარგონით შეცვლილა, დედაენით სიამაყეს სხვათა ენის ჩაჭორფილი ცოდნით თავმომწონეობისათვის დაუთმია ადგილი. ამიტომაც გამხდარა საჭირო თავდადებული ღვაწლი ერისკაცობისა, რომ დედაენის დაებრუნებინა თავისი მიმქრალი შარავანდი, მინაცვლებული ბრწყინვალება, ცხოველმოქმედი სინედლე და საზოგადოებისათვის ჭეშმარიტად მაძღარშეცილური სულისკვეთებით მასაზრდოებელი გამხდარიყო.

ნიშანდობლივია, რომ ილია ჭავჭავაძე ერის სულიერი დაკნინების ერთ-ერთ გამოვლინებად სწორედ ენის წახდენას მიიჩნევდა: „ჩვენ ყოველსფერში გავთაავთავდით, აზრი და ყოველი საგანი გავთავთავდეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კოლოიანი გახდა, იგავიანი. ორპირი შეჯშნა ისე, რომ ერთ და იმავე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა, რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოიაბა? „მიირთვიც“ რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამოართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთა კაცის გულის გარყვნილებაში შენც წვლილი ჩაგიდია. „შემობრძანდი“ რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მიეღო თუ სალზენად. აი, აქ „ჰკიდია“ ეიხმარე და შენც ათასჯერ ხმაროს, მაგრამ ეშიშოს, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმე თავისის წამბდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს“.

ამის საფუძველზე ილიას საკუთარი მარცხებული დასკვნა გამოაქვს: „გონებით რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირი სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენას? ჩვენ თვითონ დაცალიერდით გუდაფუტკასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში ეშტენოს და ყურმა ძარღვი იფხანოს“.

ამ დებულების საფუძველი უდავო ჭეშმარიტებაა: „მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრება“.

რა დონისაც არის საზოგადოება, ისეთივეა მისი მეტყველების სტილიც. „სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველებზედ წინ წამომდგარი, თუ არ ამ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო?“— სვამს კითხვას ილია და ასეთს სამოძღვრო პასუხს იძლევა: „ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად

დაუნებურად იძლევა ერთნაირ თვითდახასიათებას, სწორედ თავის „ფოტოგრაფიულ სურათს“. ჩემს წინ დგას მართლაც უზრდელი, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, ყოყლოჩინა, ძლევაძლეული რამდენიმე კულტურული სიტყვის მცოდნე, პატარა, ძლიერ განსაზღვრული ჭკუის მქონე კაცუნა. მან სულ რამდენიმე სიტყვაში თქვა თავისი თავი. იგი ამბობდა ჩემს შესახებ და უფრო მეტად თავის ისტორია გამოაშკარავა და ეს ყველაფერი მან თქვა ერთ წერილში... თუ შენ იცნობ მას, გადაეცი, რომ გინება არ შეძლება, რომ ზრდილობის გარეშე წარმოუდგენელია წერილობითი ურთიერთობაც კი. ასეთი წერილები შეგაძლებენ ადამიანს...“

გალაკტიონმა იცოდა სიტყვის ფასი. ამ, არცთუ ისე ვრცელ მონაკვეთში, ყოველგვარი მეცნიერული დეფინიციების გარეშე, ზედმიწევნითი სიზუსტით არის გაცხადებული სიტყვის საოცარი უნარი: მას შეუძლია წარმოაჩინოს ადამიანის შინაგანი ბუნება. მიიქცეთ ყურადღება— როგორ არის ამოცნობილი ანონიმის პიროვნული თვისებები: „ამ დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვებით იგი თავისდაუნებურად იძლევა ერთნაირ თვითდახასიათებას“, ან: „იგი ამბობდა ჩემს შესახებ და უფრო მეტად თავის ისტორია გამოაშკარავა“.

ერთი შეხედვით პარადოქსულია, მაგრამ იმავდროულად საკუთარი მარცხებულიც: იმის კვალობაზე, თუ როგორ და რა ფორმით ეფასებთ სხვას, ჩვენ უნებურად წარმოვაჩენთ საკუთარ თავსვე.

სწორედ ამ თვისების გამო, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, მეტყველებას განსაზღვრავენ როგორც საზოგადოებრივი ქცევის ერთ-ერთ ფორმას.

ჩვენი ანკეტა

ენა და მწერალი

რამდენიმე ძარღვიანი მწერალს მივმართეთ შეკითხვებით:

1. მ. ჯავახიშვილი წერდა"ენა-მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცილობარი მწერალი სამუშაო ცხენსა ჰგავს: გვნოხიც რომ იყოს, ეურც გიჭერეა და ეურც დაიჭრება". თქვენი აზრი ამის თაობაზე

2. ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით რომელი მწერალი მგონნიათ სამაგალითოდ და რატომ?

3. თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოიყენდით ენის თვალსაზრისით?

4. ფიქრობთ თუ არა,რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?

5. რა აზრისა ხართ სალიტერატურო ენის ნორმირების თაობაზე? როგორ წარმოიდგენთ მწერლის „ენობრივი თავისუფლება"?

6. როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში?

7. კ. გამსახურდიას აზრით: „ჩვენი კრიტიკა უგულებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტურსა და ენობრივ მოთხოვნებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით ამის გამოსაკვლევად არ შედისოო რამდენად არღვევს ეს თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსა და სწორ წერას". თვლით თუ არა, რომ კლასიკოსის პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორია?

ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს მწერალი ემზარ კვიტაიშვილი.

1. მიხეილ ჯავახიშვილის მოხდენილ გამონათქვამს ამის თაობაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მწერლისთვის ენა, საეჭვოდ ეურავინ გახდის. მწერლის ენის საწმინდეს „ჯაყის ბიზნესის" ავტორი ძალზე დიდ ეურადღებას აქცევდა. მახსოვს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს (იგი მამინ „ცისკრის" რედაქტორი იყო) ვუამბო – მიხეილ ჯავახიშვილს პირდაპირ ტყავი გამაძრო, ისეთი მკცრი რეცენზია დამიწერა. ბატონმა კონსტანტინემ აქვე დატანა ისე გამეტებული ეკვეი, ის რეცენზია სარედაქციო კოლეგიას ჯავახიშვილის ტომეულებში არ შეუტანიეო. მხეკისი რეცენზიები სხვაც ბევრი აჰონდა მიხეილ ჯავახიშვილს და, ალბათ, საჭიროა ამ მასალების გამოშეეერება.

იცდაათან წლებში უბირი და გათავხედებული კრიტიკოსები თავს ეხმიდნენ მიხეილ ჯავახიშვილს, ენას უნუნებდნენ, უკიჟინებდნენ, რომ სტილი შეეცვალა. ხელისუფლებისგან მოსასპობად გამეტებული მწერალი საგანგებოდ მიხეილ „მოსაკვლელს" თავიანად უპასუხებდა, რომ სასამ ახალ სამოსელს მოიარებდა, ძველს ეურ გადაგდებდა. ენობრივი ქსოვილი, სტილი შემოქმედის ხელოვნი სამყაროს გამოხატულია და რამდენად უგუნური, უტყეარი უნდა იყო, რომ მწერალს მოსთხოვო, საკეთარი სტილი უკეთესის,შეიცვალოს.

მიხეილ ჯავახიშვილის არაერთი რომანსა თუ მოთხრობაში მოთხრობილი ჩრდილავს მხატვრს და ამ დროს, ეფექტურ, აკტორი სრულად ეურ ავლენს თავისი საოცრად მოქნილი ენის აურეკეა სიძლიერეს. მხატვრული ქმნილების ზემოქმედების ძალა გაცილებით დიდია, რიცა მწერალი ენის სტიქიაში ღრმად იქრება. ამის საკეთილო მაგალითებად მიმანნია მიხეილ ჯავახიშვილის ორი მოთხრობა – „ტყის კაცი" და „ლამბალი და ვაშა".

2. სამ ამ კითხვას კონკრეტულ პასუხს გაკეთებდ, მინდა გამოვთქვა ერთი პირადი მოსაზრება; სასურველია, ქართველ მწერალს ბიბლიოთეკა ძალიკვანად ჰქონდეს შეფასებული რომელიმე კეთილი დალეტერი, რაც ამოაკითხვ ქმნის საფუძველს, მომავალმა შემოქმედმა მმაურად შეეგრძნოს ამ თუ ამ სიტყვის ხარონელი, ფერი, ძალა, ეკოლეხმოვანება, მაგალი და ამავე დროს ეს ხრელადაც არ შეეშალის ხელს, ასევე ხრელეოფილად დაეუფლოს სალიტერატურო ენას.

„ქართული ენისადმი დამოკიდებულება" ყველაზე ზომიერად და სწორად, ჩემის აზრით, აკაკი წერეთელმა გამოაცხადა და სამაგალითოდაც უმარეველს ყოველა, იგი მიმანნია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ამას,რომ ვინმეს ილიას განუზომელი ღვაწლი დავიუარეთ.

აკაკი სწორედ ამ „ოქროს შუალედის" ანუ ზომიერების პრინციპს იცავს, რასაც საკუთარ სალიტერატურო ენის მიმართ უნდა იწერდეს მწერალი. შემთხვევით არ გახლავთრომ აკაკის ენას (მისი ლირიკა იქნება, პროზა თუ პუბლიცისტიკა) არქაულობის ან თუნდაც თვალშისაცემი ეკოთხრობის ეფრი იდანადაც არ დაკარგავ, არც მოძველებულა – ღღევანდელ მეტყველებას ჰგავს. სრულებითაც არ ეფიქრობ,რომ სხვა კლასიკოსთა (ილია ჭავჭავაძ, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა...) ენობრივი პოზიცია მცდარი იყო; სალიტერატურო ქართველის თვალსაზრისით, ვაჟას პროზა უსადავია.

3. დასახელებდი ორ (სამწერალი,რომელთა შემოქმედება საკვლევ ობიექტად გამოიყენა,რომელიც, ეიდი უნდა ვიქონიოთ, მალე დაისტამბება და რამდენადმე მაინც შეიზღუდება ის ქართა, რაც ჩვენს ენაში, ჩვენს მწერლობაში და ეგზომ მოზღაკებული პრესის ფურცლებზე შეიმნენა.

მოულოდნელი და ეჭვული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მწერლის „ენობრივი თავისუფლება" ზღვარდაუდებელი, უსამანო არ უნდა იყოს. აქ მთავარია ისევ და ისევ ზომიერების გრძნობა. მწერალს შეეძლია ერთი და ისევ სიტყვის განსხვავებული ფორმები გამოიყენოს ამისა მიზედეთ,რომელი ვარიანტი მოუხდეს კონტექსტს; მხატვრული ეფექტის მოსახდენად, შეეძლია ზეკეერ გრამატიკის კანონებიდან გადუხვიოს. სიტყვათქმნადობის ნასალდობის ეკალი არ უნდა ეტყობოდეს. არ შეძლება კომპოზიტების შექმნა ახრიგად გვექცეს. ეს დაადასტურა. ენის თავისი შინაგანი კანონები აქვს და ამას გუმანით უნდა გრძნობდეს ყველა, ვინც კალამს აკიდებს ხელსაფრანზის ალაგობაზე. ბეერით შედეგნილობაზე შემოქმედი, ცხადია, საკუთარ ენა უნდა ზრუნავდეს, მაგრამ უსაშველო და გადამეტებული არაფერი ვარგა. ამეკრძა მიდრეკილებმა არაერთი დიდი მწერლის (ანდრეა ბელი, ეკაიმს ჯოისი, სხვებიც) შემოქმედება მოაქცია ჩიხში.

6. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობა" ყველაზე შეტად ისევ და ისევ მწერალს ეკისრება.მწერლის ქმნილება ნიმუში უნდა იყოს სიტყვასთან ფაქიზი, არტისტული დამოკიდებულებისა. ნიჭი,პატიოსნება, ეკოეუბა– ერთმანეთთან შერწყმული-შეზავებული – ამის საწინდარია,რომ მდარე, ეკალეკალა ნაწარმოებები ნაკლებად დაგროვდეს,ასპარეზი ნამდვილ მწერლობის დარჩეს, ეს კი, თავისთავად, ჩვენი უმარეველი სიმდიდრის,სამწერალი ენის ეპარისეულობა, „ვაჟა-პატრონობა" გამოვა.

7. კონსტანტინე გამსახურდიას პრეტენზია ჩვენი კრიტიკის მიმართ რეალურ ეთიერებას ასახავ, უთეოდ სწორია, მაგრამ თვით მის ამ ნაზრევში, სამწუხაროდ, ეურს ეკერ ქართული ენის ბუნებასთან შეეთავსებელი, კალეირებული ფრაზები. მაგალითად: „ამის განხეაში არ შედის..." ასევე გაეპარებიდან არის გამოთქმული დასკვნითი ნაწილი თავისთავად მართებული აზრისა: „...თუ რამდენად არღვევს ეს თუ ის მწერალი... სწორ წერას".

კონსტანტინე გამსახურდა ბევრ საეეიანბლი რამეს წერდა ქართული ენის საწინდეზე, კრიტიკის დანიშნულებაზე და სასურველი იყო, მისი თვალსაზრისის ეტარებისა მეტი ხიერთხილ გამოეკვლინა.

ადიდებს სული ჩემი უფალსა

28 აპრილი (ახ. სტილით 6 მაისი) — ხსენება წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგისა.

1 მაისი (ახ. სტილით 14 მაისი) — ხსენება წმიდისა კეთილმორწმუნისა დიდისა მეფისა ქართველთა თამარისა

10 მაისი (ახ. სტილით 23 მისი) — ამაღლება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი.

ამაღლება

ამაღლება, ათორმეტთაგან ერთ-ერთი მოძრაკი დღესასწაულია. ვზეიმობთ მას აღდგომიდან მეორმოცე დღეს, ხუთშაბათს.

აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ყოველდღე ეცხადებოდა, ამხნევებდა და არიგებდა.

როგორც ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, თავისი მკვდრეთით აღდგომიდან მეორმოცე დღეს მაცხოვარმა „განიყვანა იგინი გარე ვიდრე ბეთანიადმდე, და აღიპყრნა ჭელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი. და იყო კურთხევასა მას იესუასსა მათა მიმართ, განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად. და იგინი თაყუანისცემდეს მას, და მოიქცეს იერუსალიმსა სიხარულითა დიდითა (ლუკა 24, 50—52).

ე.ი. იხილეს რა დიდებით ამაღლება უფლისა ზეცად, მოციქულები დიდი სიხარულით აღესილნი დაბრუნდნენ იერუსალიმში. გიორგის, რადგან უფალმა აღუთქვა მათ: „და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათე 28, 20).

„უწინ, ოდეს უფალი ჰცხოვრებდა მათ შორის, იგინი მხოლოდ ხორციელითა თვალითა ჰხედვიდენ მას, გარნა ოდეს იგი ამაღლდა და მიეფარა ხორციელად, მაშინ მათ იგრძნეს,რომელ მაცხოვარმან დაიმკვიდრა უხილავად სამყოფი თვით გულთა და სულთა შინა მათთა, მაშასადამე არა თუ არ განეშორა მათ, არამედ უმეტესად მიეახლა მათ... მოწაფენი ჰგრძნობდენ, რომელ ოდეს მაცხოვარი იყო ხილულად მათ შორის, ისრედი სიყვარული არ ჰქონდათ მათ, ვითარი გაუჩნდათ აწ, ოდეს მაცხოვარი ამაღლდა მათგან“ (გაბრიელ ეპისკოპოსი).

იესო ქრისტემ არა მხოლოდ თავის მოწაფეებს აღუთქვა მათ შორის ყოფნა სოფლის აღსასრულამდე,არამედ ჩვენც, ყველა მორწმუნეს.

გიორგობა

წმიდა გიორგი ცხოვრობდა III საუკუნის ბოლოს, რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს. იგი, როგორც ვარაუდობენ, იყო კაბადოკიელი, წმიდა ნინოს ნათესავი. მამამისი გიორგის ბავშვობაში აწამეს და მოკლეს ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ახალგაზრდა გიორგი მეფის ჯარში მსახურობდა. მან მალე მიიღო პატიერთმთავრის ერთ-ერთი მაღალი წოდება და შეიქმნა მეფის საყვარელი კაცი.

ამ დროს გამოსცეს სასტიკი კანონები ქრისტიანების წინააღმდეგ. ნაბრძანები იყო დაეწვათ ქრისტიანთა წიგნები, დაენგრიათ მათი ტაძრები, ხოლო თვითონ ისინი სამინლად ეწამებინათ. გიორგიმ, შეიტყო-რა ეს ყოველივე, მოემზადა წამებისათვის, თავისი ფული და ძვირფასეულობა მეგობრებს დაურიგა, გაათავისუფლა მოსამსახურეები და თავისი მამულები და ქონება უანდერძა ღარიბებს.

ყოველივე ამის შემდეგ გიორგი უშიშრად გამოცხადდა სენატში, ქალაქ ნიკომიდიაში, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ქრისტიანების ბედი. აქ მან მეფისა და მისი მრჩეველების წინაშე დაგმო კერპთაყვანისმცემლობა და აღიარა თავისი ქრისტიანობა.

დიოკლიტიანეს ბრძანებით გიორგი ჩაგდეს საპყრობილეში და რამდენჯერმე აწამეს, შემდეგ გააკრეს ბორბალზე,რომელზეც დაგებული იყო ლურსმნები, ჩააცვეს გახურებული რკინის ფეხსაცმელი. კიდევ ბევრი სხვა სატანჯველი მიაყენეს, მაგრამ იგი ყოველივეს ითმენდა ღვთის ძალა იფარავდა და კურნავდა მას. იგი გაბედულად უმეორებდა განცვიფრებულ კერპთაყვანისმცემლებს,რომ არა მისნობა, ან რაიმე სხვა ძალა, არამედ უფალი იფარავს მას.

დიოკლიტიანემ, მისნის რჩევით, უბრძანა გიორგის, ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, მკვდრეთით აღდგინა მიცვალებული. მან ხანგრძლივი ლოცვით მართლაც აღადგინა მიცვალებული. ამან კიდევ უფრო გააბრაზა დიოკლიტიანე და სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა გიორგის. აღესრულა იგი 303 წლის 23 აპრილს.

საპყრობილეში გიორგისთან ფარულად მიჰყავდათ ავადმყოფები, რომლებსაც იგი ლოცვით კურნავდა. მან ბევრი კერპთაყვანისმცემელი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ გიორგისთან მივიდა ერთი საწყალი მიწის მუშა, რომელსაც ერთადერთი ხარი მოუკვდა. გიორგის შეებრალა საწყალი კაცი და უთხრა: „წადი სახლში, ჩემო ძმაო, შენი ხარი ცოცხალია“. კაცმა ირწმუნა წმინდანის სიტყვები და რაკი თავისი ხარი მართლაც ცოცხალი ნახა,იწამა ჭეშმარიტი ღმერთი,რისთვისაც მასაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

ამ შემთხვევის გამო ჩვენს ხალხს დღესაც სწამს, რომ დიდი მოწამე გიორგი იფარავს საქონელს უბედურებისაგან.

უმეტესად წმიდა გიორგი ხატებზე გამოხატულია თეთრ ცხენზე მჯდომი,როშელიც შუბით კლავს გველეშაპს. ეს ფაქტი, წმ. გიორგის მიერ აღსრულებული ყველაზე ცნობილი სასწაულიდან არის აღებული.

ქალაქ ბეირუთის მახლობლად, იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც დაასაფლავეს გიორგი, ლიბანის მთებთან მდებარე დიდ ტბაში ბინადრობდა საშინელი გველი, რომელიც მოსახლეობას ანადგურებდა. ჭურუმების რჩევით მას ყოველ ოჯახი რიგ-რიგობით აძლევდა შვილს: წმიდა გიორგიმ ლოცვით, წმიდა სამების შეწევნით მოელი ქალაქის თვალწინ შუბით განგმირა გველეშაპი.

ამ გველეშაპის ძლევისათვის და მრავალი ტანჯვა-წამების დათმენისათვის წმიდა გიორგი იწოდება ძლევამოსილად და ითვლება მხედართა მფარველად.

საქართველოში უმეტესი ნაწილი ეკლესიებისა წმიდა გიორგის სახელზეა აგებული.

წმ. გიორგი ითვლება ქართველი ერის მფარველად.

საქართველოში წლის ყველა დღეს რომელიმე სოფელში აღინიშნება გიორგობა.

განსაკუთრებით [illegible] აპრილს (ახალი სტილით 6 მაისს) წმინდანის აღსრულების დღეს და 10 ნოემბერს (ახალი სტილით 23 ნოემბერს) ბორბალზე წამების დღეს.

თამარობა

წმიდა კეთილმორწმუნე მეფე ქართველთა თამარი იყო ასული საქართველოს მეფის გიორგი მესამისა, რომელმაც თავის სიცოცხლეშივე,1178 წელს, იგი მეფედ აკურთხა. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1184 წლიდან, თამარი ერთპიროვნული ხელმწიფე გახდა.

თამარის მეფობის პერიოდი ცნობილია, როგორც ოქროს ხანა საქართველოს ისტორიისა. მის დროს საქართველო წინა აზიის უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო.

თამარ მეფე გამოირჩეოდა ღვთის მოშიშებითა და კეთილშობილებით. ის ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო. მას ახასიათებდა ლმობიერება და სათნოება. თამარის მეფობის დროს გაუქმებული იყო სიკვდილით დასჯა.

თამარ მეფე ხელს უწყობდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას, როგორც მთელ საქართველოში, ისევე მეზობელ ქვეყნებშიც, აშენებდა მრავალ ტაძარსა და მონასტერს.

შამქორის ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნადავლი,ხალიფას დროშა, თამარმა გაგზავნა გელათში და იქ შესწირა ხახულის ღვთისმშობელს, რომელსაც მუხლმოყრით ეუდრებოდა აბუბაქარზე გამარჯვებას.

ცნობილია,რომ ბასიანის ომში მომავალი ლაშქარი თამარმა ვარძიამდე მიაცილა, შეაევედრა ვარძიის ღვთისმშობელს და საბრძოლველად გაისტუმრა, თვითონ კი დარჩა და ლოცულობდა მათ დაბრუნებამდე. ასე ხდებოდა ყოველთვის ომში წასვლის წინ.

თამარი მფარველობას უწევდა დავრდომილებსა და ქვრივ-ობლებს: „რამეთუ ჟამთა მისთა არა იყო მომძლავრებული და მძლავრებული, არცა მტაცებული, არცა მეკობრე და მპარავი. იტყოდა ვითარმედ „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთაო“, — წერს მემატიანე.

თამარი მოწყალებას უხვად გასცემდა,მაგრამ არა სამეფო ხაზინიდან,არამედ თავისი შრომის საფასურით: „ხელთ საქმარი მისი განყოდის და ეგოდენი ფასი გლახაკთა მისცის და არა სამეფო შემოსავალთაგანო“, — ამბობს მემატიანე.

სიცოცხლის ბოლო წლები წმიდა მეფემ ვარძიის კლდეში გამოკვეთილ მონასტერში გაატარა ლოცვითა და მარხვით. კეთილმორწმუნე თამარი მონაზონივით ცხოვრობდა ერთ პატარა სენაკში.

თამარ მეფე გარდაიცვალა 1213 წელს და წმიდანთა დასში შეირაცხა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

წმიდა თამარის ხსენება ორჯერ აღინიშნება: პირველ მაისს (ახალი სტილით 14 მაისს), მისი გარდაცვალების დღეს და მენელსაცხებელ დედათა კვირაში. მენელსაცხებელ დედათა ხსენება მობრაი დღესასწაულია და აღინიშნება აღდგომიდან მე-3 კვირას.

რუბრიკას უძღვება
ნინო კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიოსები და კომენტატორები

პოეტი-მეფე

1925 წელს ჟურნალ „ნაიობში" (№10, გვ. 97-119) დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ციკლი „100 ლექსი", რომელსაც უძღოდა — „პროლოგი 100 ლექსის" (გვ. 97):

„ რა საოცარი დასრულდა წლები! /მეფეთა წყება გაჭრა, ვით ლანდი/, მიშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს, /ნიკოლოზი და ფერდინანდი/, მაგრამ მწუხარედ, მათზე კი არა, /სხვაზე ფიქრობს მარტო-როლოგი:/ამ მრისხანე წლის პოეტი-მეფე / გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი, /ანგელების მეფე— დიდი ხერ-სანსი/ და დრეიფრი ნიკოში მბლავრი..."

ეს ლექსი შეტანილია გ. ტაბიძის თორმეტტომეულის მეორე ტომში (თბ. საბჭოთა საქართველო. 1966. გვ. 156) და მასში ბლოკის მოხსენიება ასეა კომენტირებული (შენიშვნების ავტორი ი. ლორთქიფანიძე): „ალექსანდრე ბლოკი (1880—1921) — რუსი პოეტი" (გვ. 388).

1922 წელს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში" (№1, გვ. 17) ხელმოწერილადა დაბეჭდილი გალაკტიონის შენიშვნა.: „საწუხარი მარტირილოგი":

„ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულია ასეთი ცნობები: 917 და 918 წელი საბედისწერო გახდა მინარქებისათვის". ჩამოთვლილია სახელები: ნიკოლოზ II, ვილჰელმი, კარლ ფერდინანდი. მაგრამ უერო საბედისწეროა 920 და 921 წელი მეფეთათვის. გარდაცვალა მეფე რუსეთის პოეტების ალექსანდრ ბლოკი. გარდაცვალა მეფე რუსული ფეოტონისა— ვ. ფორონეჟინი, გარდაცვალა მეფე ფეოტონური რუსული კრიტიკისა — ა. ოსმაოლოვი, მეფე რუსეთის ხინდოსის — ვლადიმერ კარალენკო. მეფე რუსი აქტიორებისა— პრავდინი, მეფე საფრანგეთის კომპოზიტორების— ხენსანი, მეფე მეოცეთ დირიჟორების — ა. ნიკიში, მეფე ტენორებისა — კარუზო, მეფე ვოკალისტების— ბატისტინი, მეფე გერმანიის დრამატული არტისტებისა— პოსსარტი".

ეს შენიშვნა გალაკტიონის თორმეტტომეულშია შეტანილი (ტ. XII. თბ., სა. საქ, 1975, გვ. 51) და მის კომენტარებში (ავტორი ი. ლორთქიფანიძე) ბლოკთან დაკავშირებით წერია: „ბლოკი ალექსანდრე — (1880—1921) რუსი პოეტი" (გვ. 658).

გალაკტიონის ლექსში ბლოკის მეფედ მოხსენიების საკითხს დუმილით აუარა გვერდი „პოეტის ბიბლიოთეკის" დიდი ხერხით გამოცემული გ. ტაბიძის ლექსია რუსული თარგმანების ტომის (ლენინგრადი, ხუდუტსი პასტელი, 1983, გვ. 403) შემდგენელმა და კომენტატორმა გ. მარგველაშვილმა, მეტიც, მანვე სტრიქონში: „ამ მრისხანე წლის პოეტი-მეფე / გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი", თარგმა: „В тот грозный год к бессмертию отчалил/Сердц державный повелитель – Блок..." (გვ. 212), რაც ცხადყოფს, რომ ბლოკის ტიტული „პოეტი-მეფე", მანაც გალაკტიონის სხვა კომენტატორია კვალდაკვალ, მიიწია ისეთივე კომპლიმენტურ ეპითეტად, როგორც ამავე ლექსში ხენსანის მისამართით ნათქვამი „ანგელოზ მეფე" (მის თარგმანში „король созвучий") ან „საწუხარი მარტირილოგის"— ხინდოსის, ფეოტონის, აქტიორების, ტენორების და ა.შ. „მეფეები", ანდა „ფეხბურთის მეფე"— პელესა და მარადონას ხსენებასა.

ხანაფეოლეში კი ეს ხეოდასხვა რიგის მოვლენებია.

პოეტი მეფე — ეპითეტი არ არის, ის ტიტულია და ამ ტიტულს ითარგლება ისტორია აქვს.

პოეტთა მეფის (მალე! ამ-ში'არა) ტიტულის პირველი მფლობელი, რამდენადაც ცნობილია, იყო ხალხი პოეტი ინბორი (სხვა წყაროებით — ენბური, რომელის დაბადების თარიღი 960—980 წლების შორის მერყეობს, გარდაცვალების თარიღზე კი აზრთა სხვაობაა: 1039 ან 1040), ირანის შაჰის მამრად ლაზნელის კარის პოეტი, ფირდოუსის თანამედროვე ირანში ეს ტრადიცია არ მოშლილა. პოეტთა მეფე იყო, მგალობად, მამარი (მუსასდ თავი მალე! ამ-ში'არა მამარი, 1886-1951), მეცნიერებითაც არანაკლებ სახელმოხვეჭილი, რომელსაც, სხვათა შორის, პოეტთა მეფის ტიტული მისისგან მეკვიდრეობით მიიღო.

რამდენადაც ეს ჩვეულის ცნობილია, პოეტთა მეფის არჩევნები, ევროპის ქვეყნებიდან, ტრადიციად მხოლოდ საფრანგეთში იქცა: 1894 წელს პოეტთა მეფედ აკურთხეს პოლ ვერლენი (1844-1896), მისი ხაკეფილის შემდეგ, 1896 წელს — სტეფან მალარმე (1844-1898), 1898 წელს — ლეონ დიერსი (1838-1912), 1912 წელს — პოლ ფორი (1872-1960), რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ფლობდა ტახტს (1912-1960), 1972-1978 წლებში საფრანგეთის პოეტთა მეფის ტახტზე ბეტუოფული მორის კარემი (1899—1978) იჯდა.

პოეტთა მეფედ გახდომის პრეტენზია საქართველოშიც რამდენიმე პოეტს ჰქონდა. გალაკტიონმა ჟურნალ „ცისფერი ყანწების" პირველ ნომერში (1916 წ. გაზაფხული), გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი შედევრი „მიაწერნდის მეკარე", რომელშიც აცხადებდა: „რომ მეფე ვარ და მფოსანი და ხიბლეთი ვკვდები".

მანამდე ტიციან ტაბიძემ გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდა წერილი „უნდობა — ლიტერატურული ტაბარი", რომელსაც გამოეხმაურა ლადო მესხიშვილი „ახალი ცისკარი" (1916 წლის 28 თებერვალს, ამ დღეს გამოვიდა „ცისფერი ყანწების" ზეიმისადმი მიძღვნილი ნომერიც) — განცხადებით „მფოსანია მეფე": „ინიციატივას მფოსანია მეფის არჩევისას კირულობს ჩვენი ლამპარის რედაქცია, რომელიც შეკითხულ 900 გამოჩენილ კაცს მფოსნებს, ბელეტრისტებს, კრიტიკოსებს, ჟურნალისტებს, დრამატურგებს, სცენის ოსტატებს, თუ რომელი ახალგაზრდა მფოსანი არის ლირსი მეფობისა, ის ეროვ ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, გამოცხადებული იქნება მფოსანია მეფედ" (გვ. 3). 1916 წლის არჩევნები არ ჩატარებულა.

1921 წელს მეგავი არჩევნების (ოღონდ სხვა სისტემით) ჩატარების ხერეული საქართველოში კვლავ გასწენაათ და თუ ტრადიციულ ცნობას ვენდობთ— 1921 წლის 27 (ზოგი ვერსიით— 25) იანვარს პოეტთა მეფედ აურჩევიათ გალაკტიონ ტაბიძე. ლექსათვის „პოეზია უპირველეს ყოვლისა". ამ ტიტულზე პრეტენზია ჰქონია ტიციან ტაბიძესაც, რომელსაც საკუთრივ წარმოუდგენია ლექსი „ცხენი ანგელოზი" (გაზეთი „ლაშარი", №1, 1923 წ. ლექსი 1921 წელსა დაწერილი საგანგებოდ „პოეტების მეფის" სახელის მოსაპოვებლად, რასაც ავტორის შენიშვნა ოუწყება). რაიმე უეჭველი ცნობა ამ არჩევნების ჩატარებისა და შედეგების შესახებ ჩვენთვის, საწუხაროდ, ცნობილი არ არის.

1922 წელს თბილისში გამოიკრა ავიშები, რომლებიც ოუწყებოდნენ, რომ ოპერის თეატრში „25 იანვარს შედგება საქართველოს პოეტების მეფის გალაკტიონ ტაბიძის სადამო". ამ ავიშებით გამოწვეულმა სკანდალმა სადამო ჩაშალა, მაგრამ თავად გალაკტიონი, როგორც ეს მისი ხელნაწერების შესწავლით გაირკვა, თავის მეფობას, ქკეულს მავანთა ირონიის საგნად, წეულებრივ ხალხეურად ხედავთა თუ სასოწარკვეთილი, თანაც ხაზგასმით იხსენებდა ხოლმე თავის დაუსტამბავ ლექსებსა („უპირველესი მოსანიჭებ დაფნა მეფეთა..." 1922) თუ გაუგზავნელ „წერილს რედაქციის მისამართ" („ჟურნალთა ამსახველნო! მე ხშირად მესმის საყვედური, მოსმართული ჩემდამი: თითქოს მე, ძეირფასი ამსახველნო, ვამაყობდე ჩემივის მოკლეული სახელწოდებით „პოეტების მეფე". მე, ძეირფასი ამსახველნო. მართლაც ვამაყობ ამ სახელწოდებით— არა იმიტომ, რომ მართლა მეფე ვიყო.

— შესრულდა ამდენი და ამდენი წელიწადი, როდესაც მე პირველად ვიქენი არჩეული პოეტების მეფედ. არცერთი იმათგანი, ვინც ამიჩიეს პოეტების მეფედ, ეხლა ცოცხალი აღარ არის, ვადა, დამოწმული მათ მიერ, გასულია. ეთხოვეთ, თუ ჩემი უკმაყოფილო ხარ, ითხოთ სხვა. ამას მოითხოვს ტრადიცია".).

შენიშვნა: გალაკტიონის ცნობილი ლექსის (XXX „ელეარე და ლიმეერი/ოფი ცხრა ოქტომბერი", რომელის დაწერის თარიღად მიღებულია 1915 წელი, დაიბეჭდა 1927 წელს), ხელნაწერში ეკითხება: „ცხრა არჩევის დღე იყო პოეტების მეფეთა...", ასევე ლექსის „საფლეგრძელო ოფის მისი" (დაწერის თარიღად მიჩნეულია 1919 წელი, დაიბეჭდა 1927 წელს), ხელნაწერში ეკითხება: „საფლეგრძელო ოფის მეფის— გალაკტიონ ტაბიძის" — როგორც 9 ოქტომბერს პოეტთა მეფის არჩევნების საკითხი, ასევე ოფი ლექსია დათარიღებაც დასტამბვა ქვეყნის საქმეოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა ზემოაღნიშნული მხოლოდ ერთ მიზანს ეწესურება — ცხადყოს, რომ გალაკტიონ ტაბიძისთვის „პოეტი-მეფე" იყო არა კომპლიმენტური ეპითეტი, არამედ ტიტული და მას არაბერდაბერი მნიშვნელობით არ გამოიყენებდა.

საფეველთაოდ ცნობილია, რომ 1918 წლის 17 თებერვალს, მოსკოვში, პოლიტექნიკურ მუზეუმში ჩატარდა „პოეტების მეფის" არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა იგორ სევერიანინმა (ლოტარევმა, 1887-1941), მეორე ადგილზე გავიდა ვლადიმერ მაიაკოვსკი, მესამეზე— კონსტანტინ ბალმონტი. პეტერბურგელი პოეტის მოსკოვში, მოსკოველ პოეტებთან კონკურსში გამარჯვება განსაკუთრებულ მიღწევათა რიგს განეკუთვნება და, ცხადია, წარმატებით თავბრუდახვეულ ი. სევერიანინსაც არ დაუსანებია საკუთარი მეფობის შესახებ სახოტბო ლექსების

დასასრული მე-10 გვ.

აბიტურიენტის ფურცელი

8. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები

ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი (დასწყისი) ბევრად უფრო ადრე სავარაუდებელი, ვიდრე ამას წელთაღრიცხვიდან მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლები გვიდასტურებენ; ათვლას, როგორც ვიცით, V საუკუნიდან ვიწყებთ. ამ საუკუნეში ბეთლემისა (პალესტინაში) და ბოლნისის წარწერები, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება", ამ დროსა თარგმნილი ოთხთავი (სპარეა), ფსალმუნი... „ამ უძველეს ძეგლთა ენის ლექსიკური სიმდიდრე, გრამატიკული ნორმატიული ხასიათი, ენის მხატვრულობა და გამოსახვითი საშუალებანი სრულყოფილნი... საეჭვოდ ჩანს დაეშვათ, რომ ქართული მწერლობა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული და განვითარებული" (ე. თოფურია). ეფთა ხაფარ, „ისტორიის ბეჭედულმართალ[illegible]ერა ქართული ენერგეტიკის არაერთი ჭრილება, მათ შორის — ქრისტიანობამდელი პერიოდისაც.

მწერლობა შეაჭმა ისტორიულ ქართლში. ქართლს ენამ თხუთმეტი საუკუნის მანძილზე განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა.

ქართული ენის განვითარებაში ტრადიციულად გამოიყოფენ სამ საფეხურს: ძველს, საშუალს და ახალს.

ძველი ქართული V–XI საუკუნეთა ენაა. ამ შვიდი საუკუნის მანძილზე იგი არ ყოფილა ერთგვაროვანი. მაგალითად, V–VII საუკუნეებში ქართულ ენას ახასიათებდა ე.წ. „ხანმეტობა", VIII საუკუნეში– „ასომეტობა"...

რას ნიშნავს „ხანმეტი" და „ასომეტი"?

ტერმინი „ხანმეტი" პირველად გვხვდება გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი სახარების ანდერძში (ანდერძი დასამარების ნიშნავს. ამ სიტყვის ჩვენთვის კარგად ნაცნობი მნიშვნელობის გარდა, ძველად იგი ავტორის ან ტექსტის გადმწერის წინა ან ბოლოსიტყვობას აღნიშნავდა, სადაც დამწერის ვინაობა, დაწერის დრო, ადგილი და სხვა ცნობები იყო აღნიშნული): საუბარია ოთხთავის ტექსტებზე — „ხანმეტსა" და „ასომთავრულზე". ამ უკანასკნელის („ასომთავრული") მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევდა (ასურეთში მონასტერი იყო პალესტინაში, ე.ი. გიორგი მთაწმიდელი იქაური რედაქციის ტექსტს გულისხმობდა), მაგრამ, რას ნიშნავდა „ხანმეტი", კარგა ხანს გაურკვეველი რჩებოდა. სიტყვას ნათელი მოეფინა მას შემდეგ, რაც 1922 წლის ლეონ ჭანელი ენა მაინც ითვლება მკვლევრად ჩამოყალიბებული ნორმების სისტემად.

აი რამდენიმე ნიმუში ძველ ქართულ ენისა: „ნუ დაბრალთ, რამეთუ, რომელთა ბრალსა ეგონეთ, ამისა ბრალ-ეთ, ამისა ბრალ-ეთ, ამისა ბრალ-

აბიტურიენტის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე კურსდამთავრებულ

ლიხში გაძლონაცვლა... ის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეპირობა" (ა. ჩიქობავა).

ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის ღვაწლი. „ხალხია ენის კანონის დამდებელი", — განაცხადა ილიამ და ამ დროიდან ქართული ენის პრობლემა უმეტესწილად დაუკავშირდა ეროვნული თვითშეგნარნარეობის საკითხს. თერგდალეულთა უცილობელი დამსახურება ის, რომ მათ ქართული ენა ქართველი ერის გაერთიანებისა და აღორძინების უპირველეს პირობად გამოაცხადეს. იაკობ გოგებაშვილმა თავისი „დედა-ენითა" და „ბუნების კარით", რომელებზედაც თაობები აღზარდა, დიდად შეუწყო ხელი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება-განმტკიცებას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა ორგანული განვითარება ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა. ეგი ხალხურ მეტყველებაშია ფესვგადგმული. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სიტყვა ქართული ხალხური ენათმეტყველების უშრეტი წყარო ასაზრდოებს. ახალი ქართული სალიტერატურო ენა მდიდარია და ადა, ხალხურია და დახვწილი (ა. ჩიქობავა).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში პერიოდების (ძველი ქართული, საშუალი ქართული, ახალი ქართული) გამოყოფა არ ნიშნავს იმას, თითქოს სხვადასხვა პერიოდის სალიტერატურო ქართული ძირეულად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. საქმე ეხება ერთი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურს და არა სხვადასხვა ენას (ზ. ჯუმბერიძე).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შემდგომი განვითარება ქართული სალიტერატურო ენისა.

9. ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა და შემდგომი განვითარება, რობორც სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი

ენამ რომ უკეთესად შეასრულოს თავისი ფუნქციები, როგორც ეროვნების გამოხატვის, ადამიანთა ურთიერთობისა და საზოგადოების განვითარების იარაღმა, საჭირო ეულიდეთ მას, გაწონდეს მდიდარი ლექსიკა (სიტყვთა მარაგი), ეიცოდეთ ჩვენი შშობლიური ენის გრამატიკული წესი, შეგეძლოს სიტყვებისფურცლების ზუსტად შერჩევა წერისა თუ საუბრის დროს, ენაში მოქმედი წესებსა სწორად გამოყენება...

წერითი თუ ზეპირი მეტყველების კულტურა მჭიდრო კავშირშია ეროვნების კულტურასთან, ამიტომაც მეტყველების კულტურისათვის ბრძოლა არსებითად ეროვნების კულტურისათვის ბრძოლაცა.

ენის სიწმინდის დაცვა სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვას ნიშნავს. როგორ დგინდება სალიტერატურო ენის ნორმები? რა პრინციპია გათვალისწინებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისას?

ნორმების შეუშავების დროს მაქსიმალურადა გამოყენებული ქართველ ელისაბეთ მწერალთა დამკვიდრებული ენა; რიდეაც ენაში ორი ან მეტი მოცემა ფორმა ამენს თავს, უპირატესობა ეძლევა იმას, რომელიც უფრო გავრცელებულია, გრამატიკულად სწორია, მარტივია, ნათელია, ენის ბუნებისათვის უფრო მიახლოებული...

მაგალითად, კომშს დასავლეთ საქართველოში ბა-საც ეძახიან, ალუბალ- ქვეშს... სალიტერატურო ფორმად მიწყნელია კომში და ალუბალი, ბა და ქვეშს — არა (პირველი— ნაკლები გავრცელებულობის გამო, მეორე კი იმიტომ, რომ ესა ბარბარიზმი, დამახინჯებული რუსული Вишня).

რატომ ირღვევა დადგენილი ნორმები ენისა, რა არის სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის მიზეზები?

ადამიანი ფორმების წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროა დიალექტები. ჩვენ ვიცით, რომ დიალექტები (ადგილები) ძველადაც და ახლაც აქტიურად ფუნქციონებენ სალიტერატურო ენის განვითარებაში. მაგალითისათვის: დიალექტური წარმოქმნებისა რომ ერ —ენ, ისე —ნენ დამოკიდება მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად: აშენებდენ — აშენებდნენ, ფიქრობდენ— ფიქრობდნენ... პირველი (-ენ) ახასიათებს ბერულს, ფშაურს..., მეორე (-ნენ) — ქართლურს, კახურს... ჩვენი საუკუნის 30-ან წლებამდე ორივე იხმარებოდა ქართულ სალიტერატურო ენაში, ამჟამად -ნენ არის დადგენილი სალიტერატურო ენის ნორმად: წერდ-ნენ, ბატკად-ნენ, აშენებდ-ნენ... (წერდ-ენ, ბატკად-ენ, აშენებდ-ენ... უმარცვლელი ფორმებია სალიტერატურო ენის თვალსაზრისით). შეიძლებოდა სხვა უამრავი მაგალითის მოყვანაც: გაკეთებია და გაკეთებინა, ჰქონიყო— ჰქონებდა— ჰქონოდა, გავდგები — გავიდა, ნაკანზებენთი — ნაკანზებეთი (სწორი ფორმები ხაზგასმულია).

სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს სხვა ენის გავლენა (ხშირად ეს გავლენა გაეცნობიერებელია). მაგალითად, რუსულის გავლენა, რომ ხშირად ეწერო და ეამბობ: „ღვეს გაყიდვაშია" — (в продаже. უნდა იყოს: იყიდება), „ძირითადში მისაღებია" (в основном. უნდა იყოს: ძირითადად), „ანგარიშის გაკეთა; (сделал заявление — უნდა იყოს: განაცხადა), „საქმე იმაშია" (дело в том. უნდა იყოს: საქმე ისა) და ა.შ.

სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის მიზეზი ხშირად შშობლიური ენის ავტორების არცოდნა და ამით გამოწვეული არასწორი ანალოგია სიტყვისა. მაგალითად, აღ-ზრდის და გა-ზრდის ფორმების ზმნური ძირი (ზრდ-ი-ს) ერთი და იგივეა, მათ განსხვავებული ზმნისწინები (აღ-, გა-) აქვს დართული, რაც განსხვავებს მათ მნიშვნელობით (აღ-ზრდის შვილს, გა-ზრდის მცენარეს). როდესაც ამ ზმნებს ახალგაზრდა დროში ვხმარობ, ზმნისწინი უნდა ჩამოვაშოროთ: ზრდის (შვილს, მცენარეს). ამისათვის, რომ გაირჩეს აღ-ზრდა გაზრდისაგან, ზოგჯერ ხმარობენ ღზრდის ფორმას, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა.

სხვა მაგალითი: გა-ზმნისწინის ძველი სახეა განა, რომელიც ახლაც გვხვდება ბევრ სიტყვაში: განაგრძო, განაფთარა, განაცხადა, განცხადება, განშორება და სხვა. ღვეს პარალელურად იხმარება განთავისუფლება და გათავისუფლება, ორივე სწორია; მაგრამ პირველ ფორმაში ძალიან ხშირია დარღვევა: ანთავისუფლებს, გამანთავისუფლეთ, განთავისუფლა... დაუკვირდეთ: ნ-ს ადგილი გა-სთანაა (განა-), ამიტომაც თავდაპირველად სწორი ფორმები იქნებოდა... ამჟამად კი უნდა ვთქვათ და ეწეროთ: თავისუფლებს (და არა ანთავისუფლებს), გამთავისუფლეთ (და არა გამანთავისუფლეთ), გათავისუფლა (და არა განთავისუფლა) და ა.შ.

არსებითი მიზეზი სალიტერატურო ენის დამახინჯებისა არის ჩვენი დაუდევრობა, უყურადღება დამოკიდებულება შშობლიური ენის, მისი დაკარგ[illegible]ბული ნორმების მიმართ. ზოგჯერ [illegible]ს ეგონა: იღონდ აზრი გადაეცეს, სათქმელი გადმოსცეს, და ხელ ერთია, რა საშუალებით იქნება ეს მიღწეული. ამიტომ გვესმის ასე ხშირად: „დაკანა" (უნდა იყოს დასკ), „ხ

ნ", „ეზიგართ" (უნდა: იყოს ხმელან, ვხმეკვართ), მიამაკ (საჭირო, მიამბს) და ა.შ. ყოველდ დაუშვებელია არაქართული სიტყვების ხმარება, რომელთა ქართული შესატყვისებიც გვაქვს: ხაიკ (ასანთი), შკაფი (კარადა), კრიმა (ხახვარეკი), პაკრიმკა (ხახვარეკა), ხტოლ (მაგიდა) და ა.შ.

თითქმის სამი საუკუნის წინ წერდა მეფე-პოეტი არჩილი:

„ეგ რუ გვინდა, ხმა ენა შეც არ ვიცოდე ხმასავთ,

მაგრამ ცოდა გარეკა ქართველს რიბთ, ხმნისწინი უნდა ჩამოვაშოროთ: ზრდის (შვილს, მცენარეს). ამისათვის, რომ გაირჩეს აღ-ზრდა გაზრდისაგან, ზოგჯერ ხმარობენ ღზრდის ფორმას, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა.

სხვა მაგალითი: გა-ზმნისწინის ძველი სახეა განა, რომელიც ახლაც გვხვდება ბევრ სიტყვაში: განაგრძო, განაფთარა, განაცხადა, განცხადება, განშორება და სხვა. ღვეს პარალელურად იხმარება განთავისუფლება და გათავისუფლება, ორივე სწორია; მაგრამ პირველ ფორმაში ძალიან ხშირია დარღვევა: ანთავისუფლებს, გამანთავისუფლეთ, განთავისუფლა... დაუკვირდეთ: ნ-ს ადგილი გა-სთანაა (განა-), ამიტომაც თავდაპირველად სწორი ფორმები იქნებოდა... ამჟამად კი უნდა ვთქვათ და ეწეროთ: თავისუფლებს (და არა ანთავისუფლებს), გამთავისუფლეთ (და არა გამანთავისუფლეთ), გათავისუფლა (და არა განთავისუფლა) და ა.შ.

არსებითი მიზეზი სალიტერატურო ენის დამახინჯებისა არის ჩვენი დაუდევრობა, უყურადღება დამოკიდებულება შშობლიური ენის, მისი დაკარგ[illegible]ბული ნორმების მიმართ. ზოგჯერ [illegible]ს ეგონა: იღონდ აზრი გადაეცეს, სათქმელი გადმოსცეს, და ხელ ერთია, რა საშუალებით იქნება ეს მიღწეული. ამიტომ გვესმის ასე ხშირად: „დაკანა" (უნდა იყოს დასკ), „ხაინ", „ეზიგართ" (უნდა: იყოს ხმელან, ვხმეკვართ), მიამაკ (საჭირო, მიამბს) და ა.შ. ყოველდ დაუშვებელია არაქართული სიტყვების ხმარება, რომელთა ქართული შესატყვისებიც გვაქვს: ხაიკ (ასანთი), შკაფი (კარადა), კრიმა (ხახვარეკი), პაკრიმკა (ხახვარეკა), ხტოლ (მაგიდა) და ა.შ.

ქართული ენა

ენაში სხვას ავით".

მეფე არჩილს პარიზიდან მიმდევრად თვლიან („პერეს" ლათინური, „ნინდას", „ხეფთას" ნიშნავს. „პერიზს" ენაში უეხოურ სიტყვთა შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლას უწევენ). ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის საფარაჯიზე მდგარი არჩილ მეფე ხალხთან აცხადებდა:

„მითქვამს ქართველის ენათა, სხვა ენა არ ეურეკეთ".

ილია ჭავჭავაძე, რომელმაც განაკუთრებული ღვაწლი დასდო ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას, გვასწავლიდა: „ამი ღვთაებრივი საუნე დაგვიტა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნეობა. თუ ამასაც არ ეუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი შშობელ მამასაც არ დაუთმობდეთ ჩვენი შშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა ხალხური რამ არის, ხალხიდან საკორეა. მაგრამ კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს".

ქართული ენის სიწმინდის დაცვის მიზნით ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი შედეგი სახელმწიფო კომისია,რომელიც განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებულ პროექტებს ენაში არსებულ სადავო საკითხებზე[illegible] ნორმებს,რომელთა დაცვა [illegible] ბელია. გამოცემულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების პირველი წიგნი, ორთოგრაფიული ლექსიკონები („ორთოგრაფია" სწორად წერას ნიშნავს),ქვეყნდება მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხებისადმი მიძღვნილი [illegible] ...

და მაინც: ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა ჩვენს ხელთაა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის — არსენი ახარტელის (XIII ს.) სიტყვები („ახარტელი" ბერძნულია, ცოდვილს ნიშნავს.ეგი შეაუნენებს ბერ-ბონაზონთა ზედწერილს ეკრ): „ყოველი წერილი ძველი არს მეტყველი, გამოსანებელი აღნერელისაგ საკენდ, რომელსამე საქმეულ-ყოვად, ხილი სხვა— განქაქუად". მართლაც, ყოველი ნაწერი მეტყველი სახეთა,რომელიც ამეცავნებს მის დაწერას: ზოგს აქვს, ზოგს კი განაქიქებს, დაცინვის ობიექტად აქცევს.

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა რეგორც სახელმწიფოს, მეფეი სახოგადოების, ისე თითოეული პიროვნების მეფმეტი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლეილა გეგეშიძე

თუ ლეონიძე «შეგხვდებათ»...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდების პროგრამებში შეტანილია ზოგი იმგვარი ნაწარმოები, რომელთა შესახებ სასკოლო სახელმძღვანელოებში არაფერია თქმული. ვითვალისწინებთ ამას და დღეს აბიტურიენტებს ვთავაზობთ კრიტიკოს თამაზ ვასაძის წერილს, რომელშიც გიორგი ლეონიძის რამდენიმე საროგორამო ლექსია განხილული (წერილი 1992 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „განათლებაში“).

ლიტერატურის მცოდნეობაში გამოთქმულია დასაბუთებული თვალსაზრისი, რომ გიორგი ლეონიძის პოეზიაში გამოიკვეთება ყივჩალის ლირიკული სახე, რომელიც შველის პოეტს სისხლსავსედ გამოხატოს სტიქიური ძალის და ხასიათის ენებები (გ. კანკავა).

ასეთი ენებები ფლობენ „ყივჩალის პაემანის“ ლირიკულ გმირს, ეს ლექსი წარმოადგენს ხალხური „მუხრანულის“ („შეგხვდებარა ყივჩალის“) ერთგვარ გაგრძელებას, — თითქოს ხალხური ლექსის ყივჩალი მკვდრეთით აღდგება და კვლავ თავის დამღუპველ ლტოლვას ეძლევა; ამგვარი პოეტური პირობითობა სიყვარულის ცხოველმყოფელობას და გამძლეობას ავლენს („მოდი! გეძახი ათას წლის მერე...“). სიყვარულის ენება აქ მკვეთრად ხორციელ-ეროტიული, ჭარბად გრძნობადია, რაც გიორგი ლეონიძის პოეზიის საერთო ხასიათს და სტილურ იერს შეესატყვისება.

„ჩასხედ, არაგვსედ ისევ
ბოდბუნები თავთუხებისა,
ფეხავან
შენი ტუნებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას“.

სიყვარულის სტიქიური ენერგია, წინააღმდეგობას რომ აწყდება, ბარბაროსულ გამძვინვარებაში განიმუხტება. ეს ველური ძალაა დატეული პოეტურ მეტყველებაში, მისი დამანგრეველობა თითქოს ფიზიკურად შეიგრძნობა. ამაში დიდია სიტყვათა ორგანული შეუღლების, ბგერწერის წვლილი.

„ტრამალ და ტრამალ
გამოგვდგენ.
შეშოვაპტყვე გზები ტრიალი,
მცხეთას კუპტერე საკეტერები,
ალეწე ტაძრები ალაპტრიანი!“

ნამდვილი პოეტური აღმოჩენაა სახე, რომელშიც მომაკვდავი ყივჩალის თვალთახედვა გამოსჭვივის, — მისი მზერა იმღვრევა, ინისლება („მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას, ველარა ვხედავ, სისხლით ვიცლები... როგორც საძროხე ჭვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები“).

მხოლოდ მშვენიერი სამკაულის ფუნქცია როდი აქვს ლექსში „ვარდის ფურცლობის“ და პაემანის „ვეფხისტყაოსნისეულ“ მოტივს: იგი „ყივჩალის პაემანში“ გამოხატული გრძნობის სიძველეს, უფრო ზუსტად, ზედროულობას მოწმობს.

„ნინოწმინდის ღამე“.

„ვეფხისტყაოსნის“ მოტივები თუ სახეები „ნინოწმინდის ღამეშიც“ გაიელვებენ („შენი სახე რისთვის შემომეფეთა, ხატი იყავ— ვეფხვი დაქალებული“; „ავთანდილის მწვადი ცეცხლზე მხიოდა“). ისინი ხელს უწყობენ ზეაწეული, სადღესასწაულო ატმოსფეროს და ლეგენდური ელფერის შექმნას.

მოუთოკავი ენებების ამეტყველებისას აქ ჩნდება ყივჩალთა მონათესავე ტომის, ხაზარების სახე — ნილაბი („ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები... ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა...“). სიყვარულის ენების მოუგერიებლობას, სიყვარულის ჭრილობათა სიმწვავეს იშვიათი ინტენსივობით გვაგრძნობინებს ეს სახე:

„როგორც ხმალი, ძმაო,
ტაბრალანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!“

აღქმის ფოლკლორული მიამიტურობა და პირდაპირობა ახლავს სიყვარული ქალის თვალისმომჭრელ ხატს, რომელშიც შენივთებულია სიცოცხლის მატერიალური სიუხვის და სისავსის უმძაფრესი განცდა.

ნიშანდობლივია, რომ ლექსში, რომელშიც ღამეა გამოსახული, დიდი შუქი ანთია („ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა“). ეს კონტრასტიც ააშკარავებს გიორგი ლეონიძის უსაზღვრო სიყვარულს სინათლისა და სიცოცხლისადმი.

„ღამე ივერიისა“.

ასევე ნათლითმოსილია „ღამე ივერიისაში“ წარმოსახული ლანდშაფტი („დახანძრებული წევს ივერია“; „სთვლემენ ბელლებში ლურჯი ყანები, ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი“). სურათი მშვიდ, იდილიურ განწყობილებაშია გახვეული („მეტოვეები სადღაც მღერიან, სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე“). ველური რბევის და ნგრევის დრო წავიდა („ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები...“) მაგრამ ლექსის ლირიკული გმირი თითქოს სწორედ მაშინდელი — დიდი, ყოველგვარ ზღუდეთა გადამლახველი ენებების მიმართ განიცდის ფარულ ნოსტალგიას. მრავლისმეტყველია, რომ მის გულში აღორძინებული სიყვარული ასოციაციურად გადაჯდომილია ხაზარეთთან, რომელიც სტიქიურ ენებათა ბატონობის განმასახიერებელია.

„ისევ აგვიდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე
დაეწერო“...

დარიალიდან გადავარდნილი ხაზარეთისკენ მისცურავს წერო“.

სპარსანგელოზი ბიბლიოსაკ

ანდ. ყარიბაშვილის ნაბეჭდებში ხშირად გვხვდება გამოთქმა სპარსანგელოზი. „ვფიქრობ ცხარე დღეს დაეყენებო, წყვრის სპარს-ანგელოზის მადლმა, რომ თითონეე თავბედს იწყევლიდენ“,— ამას გიორგი ამბობს ელგუჯასთან საუბრის დროს...

რა არის სპარსანგელოზი?

სპარსანგელოზის შესახებ ხევში არსებობს სხვადასხვა სიუჟეტის, მაგრამ ერთმანეთთან ახლოს მდგომი გადმოცემები. ისინი ნილამასთან განთქმული მოხევე ქალის ხელოვა გიდერძიშვილის სვედან ამბავს უკავშირდება. ამის შესახებ მოგვითხრობს ჯ. ითონიშვილი ნოველში „ხევის ტიპინიშა“.

სპარსთა ტყვეობიდან სწორედ ამ ქალს დამსხვლილი ნმინდა გიორგისთვის უწოდებიათ სპარსანგელოზი. ადრე იმ სალიცეს, რომელის ფუძეზეც ეგი დარსდა, ნეკრასანგელოზი რქმევია. ზოგჯერ ახლაც ასე უწოდებენ მას.

ერთი შეხედვით, თითქოს, უაზრო სპარსის ანგელოზი ანდა სპარსის ნმინდა გიორგი. მაგრამ სწორედ უკანასკნელი დასტურდება ეხეშტასთან.

სპარსის ნმინდა გიორგის ხატელათ აქვს მოხსენებული ეკრასოვის მახლობელ ქოსზე არსებული სალიცეი ივანე ჯაგაზიშვილის.

ამ სახელწოდების პირველი მნიშვნელობით გაგება, ცხადია, უაზრობა.

სპარსანგელოზის ეტიმოლოგიას შეეხო შ. ძიძიგური: „წარმოშობით ეგ ფორმა უნდა უკავშირდებოდეს სპა სიტყვას, რომელიც ნიშნავს მხედრობას, დიდ ლაშქრის სპას ანგელოზი, სპას ანგელოზი, შესაძლია, წარმომდგარა მრავლობითის ფორმიდან: სპათ ანგელოზი. შემდეგ, როცა სპა სიტყვამ მნიშვნელობის ლაკონა, გაზრდილებს ეგ. „ხალხური ეტიმოლოგიის“ კანონის ძალით, სპა-ში გამნდა რ: სპარს ანგელოზი ცნობილი სპარს სიტყვის ასალოგით“.

სპა რომ ფიგურირებს ტიპინიშებში, ამის ნიშანია შ. ბაქრაძეს ასანელებს ლეზგეში დადასტურებულ სპაგორს.

მოხევურ სადღეგრძელში ნათქვამია:

„დიდება ქმონდეს სპარსი ანგელოზსა, ქოსეთით მობრძანებულსა“.

სპარს-ისა და ანგელოზ-ის მრავლობითის თ სუფიქსით წარმოდგენა ღვთაებისადმი მიმართულის პატივისცემა-თაყვანისმცემა უნდა მიეწეროს და არა მის ნამდვილ საქმიანობას. ნინაღმდეგ შემთხვევაში გვეწერებოდა „ქოსეთით მობრძანებული“ და არა „ქოსეთით მობრძანებული“.

ივანე ჯაგაზიშვილის წიგნის მიხედვით („ლეგენდები, მითები, რიტუალები“)

ეი. ისტორია

«წყურვილი სულისა»

ილია ჭავჭავაძის აზრით, „წყურვილის სულის“ არის „ნიშნწყალი ადამიანისა“. ადამიანი ცდილობს, „თავისის სულის წყურვილი ასე თუ ისე სახსოვარში რაშეი ხელოვნებით რამით გამოსთქვას, გამოსახოს, გულიდან გარეთ გამოიტანოს“. უდიდესი გაჭირვებისა და უკიდურესი შეშფოთების დროსაც კი ერს შეუძლია ხილვე დრო, რაც თვნდ მოსაზრებისა და ტაძრების შენებით წყურვილს სულისას აკლავს ხილვე. ეს სასტიკი წყურვილია, იმიტომ, რომ სათავე წარმტებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა“.

ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და მათი აგების ხელოვნებაც დიდი ილიას თქმით, ქართველი ერის სულის წყურვილის გამოვლენა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდმშვენიერი ადგილის ქვეთ ამოკანილი და მშაგრობით შემკული ეკლესიები“ სამცხე-ჯავახეთში. ამავე დროს, ქართველნი თავის სულის წყურვილს ამითაც აკლავდნენ, რომ სამკრძალეთ მიდიოდნენ ხსენელის მისალებად და იქიდან დაბრუნებული ქრისტიანობის განმტკიცებისათვის თარგმნიდნენ საღმრთო და საერო წიგნებს; მონასტრებში სასწავლებლებს მართავდნენ.

სამცხე-სათაბაგოს უდიდესი როლი უთამაშია ქართველი ერის „სულის წყურვილის“ გამოვლენაში: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღგებულა. ჩვენს საფიცარზეს იქ უჩქენია. ჩვენის სულის ძღვერებს იქ აღმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის ეგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და ეგეკვე სამკვიდრე ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მაუცილისათვის ამაგმეტებული საყვარელი თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს“. ქართველთა „სულის წყურვილი“ მთასაკ აკუნულ ეკლესია-მონასტრებში ფარითად გამოვლილ მწიგნობრობაშეც გამოვლინდა: „„მონასტერთა და ეკლესიების სალარიში მრავალი წიგნი კიდევ მოიძიებუა. ეკერ მარტო დავთ გარეკილ მონასტერში ასზედ მეტი წიგნი აღმოჩენილა და მათ შორის ზოგი ისეთანა თავის სიძველით, რომ ფასდაუდებელია“.

ილია ჭავჭავაძე თამარ მეფეს ბევ არ გამონაკლის. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ეკარ-ცელმა, ი

რა ენა წახდეს

ენა ეძებს სიტყვას

როცა ადამიანია ცხოვრებაში შემოდის ახალი საგანი, მოვლენა, აუცილებელი ხდება ენაში ამ საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვის შემოტანა. შეიქმნება დროზე საჭირო სიტყვა — ენა მდიდრდება და უფრო ძლიერდება, თუ არ შეიქმნება მაშინ დაუკარგავად შემოდის უცხოენოვანი ერთეული და... კვლავ დასტურდება ანდაზა უსატრონო ეკლესიისა და ეშმაკების შესახებ.

და რომ ეს არ მოხდეს, ენა ეძებს სიტყვებს. ეს ძიება მუდმივია — იყო ათასი, ასი წლის წინ, არის ამჟამად და იქნება მომავალშიც. ყველაფერი ცოცხალი ზრუნავს თვითგანახლებისათვის, ენა კი ცოცხალი ორგანიზმია.

ახალი სიტყვის (ან გამოთქმის) საჭიროება ჩნდება სხვა-ენასთან შედარება-ურთიერთობაში და ძიების მიმართულებაც აქვე გამოიხატება ხოლმე.

ორიოდე მაგალითი:

რუსული სიტყვის „безразмерный" ქართულად უნდა მორგებოდა „უსიზო", მაგრამ არ მოერგო. რადგანაც ქართულად ეს სიტყვა „ძალიან მეტის" უფრო ნიშნავს, ვიდრე „ზუსტი ზომის არსქონეს". და ჩაიქნა ქართულში რაღაც პირიდან — „ურასპერო". ენას კი სჭირდება არა რაღაც უშნო ხუროგატი, არამედ ქართული, მუდმივი, მკაფიო სიტყვა, იმისი, რომ გონებასაც მიაღიოს და გულსაც, რომ იგი ენამ თავის ლექსიკონად იცნოს.

შეუნებლობაში გავრცელებულია გამოთქმა „ПОД КЛЮЧ", რაც ნიშნავს ობიექტის ისეთად დამთავრებულად ჩაბარება, რომ მას აღარაფრის დამატება აღარ სჭირდებოდეს. ქართული ენის ჭირისუფლებმა ცოტა შეგვანებინა მაშველეს ქართული შესატყვისი— „გასაღების ჩაბარებით" და ახლა ამ მკაფიო და ამრეკლად გამოთქმას ხერხიანად ბრძოლა უნდა საკუთარი პოზიციების დასაბრუნებლად.

კიდევ ერთი მაგალითი: დღეს ინგლისური ენის პლანეტარული აღშფოთებაა და ისეთი მოძალება, რომ თვით დიდი ენებიც კი, (ფრანგული, გერმანული, იტალიური, იაპონური) დიდი სიფრთხილით ეკიდებიან მისი გავლენის დროზრებას. „პატარა" ენებს, ცხადია, საბრუნავი მეტი ეჭირებათ.

ეგონებ, არავინ მაკიცებს, თითქოს მე ინგლისურის ცოდნის წინააღმდეგ გამოვდივარ. არა. მე წინააღმდეგი ვარ ქართული ენის შეცვლისა რაღაც ქართულ-ინგლისური „ავდუსანდალით". თუ ვინმეს ეს ნაიქმი გადაჭარბებულად მოეჩვენება, ცოტა ყურადღებით მოუსმინოს, რა „ქართულით" შეტყობლების დღეს ჩვენი რეკლამა. მაგალითად, დიქტორი ოსმალურად ეუბნებოდა „გასართობ შოუ-კონცერტზე" ანუ ეუბნებოდა, რომ „თითბირს ეხვრეპოდნენ ბიზნესმენები და საჭიანი ხალხი", ხოლო ეგვარია მოედანზე ვიღაცის სამანო პიესის ნაშუშიც კი გამოიფინენ: „თუ გინდა რომ გიკეთო ბიზნესმენის

ისეთი,

შემოიტა ფული ჩვენთან, გჭირდეს ჩვენი

ისეთი"

კი, ბატონო, „გიკეთეთ ბიზნესმენის ისეთი" (დღეს ყველას ოცნება ეს არის). მაგრამ ქართულმა ენამ რა დააშავა?

მიაკოსებიც კი წერდა რეკლამებს ლუქსად, მაგრამ დიდებული რუსულით წერდა.

ენას ტალი არა აქვს, მაგრამ კაცს ხომ უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა!

გიორგი ფიგასაშვილი

დანასისხლად იყიდება

ქართულში გავრცელებული და ჩვეულებრივ სახმარი გამოთქმებია, ერთი მხრივ, დანასისხლად გადაეკიდება (მოსისხლე მტრად გაუხდება) და, მეორე მხრივ, მამასისხლად გაყიდის (ძალიან ძვირად, ცეცხლის ფასად გაყიდის). ამ გამოთქმებს სრულიად განსხვავებული ლექსიკური „მიშვნელობა აქვთ. საკვირაოდია, რომ ამ მყარი გამოთქმების პირველი წევრების (კომპონენტების) — დანასისხლად და მამასისხლად — მსგავსმა შედგენილობამ, სტრუქტურულმა ერთგვაროვნობამ განსაზღვრა თანამედროვე პრესის ენაში ამ გამოთქმათა შერწყმა: „ახალი სანატორიუმის აშენებამდე აუცილებელია დროებითი კოტეჯები მაინც აიგოს, რათა ღამის გასათევი ადგილი დანასისხლად არ იყიდებოდეს". აღნიშნულ რთულ სიტყვათაგან გაყიდვა ზმნა შეეხამება მხოლოდ სიტყვას მამასისხლად და შესიტყვებაც სათანადოდ უნდა გასწორდეს: „... რათა მამასისხლად არ იყიდებოდეს".

ღამე ნებისა

ღამით გამოშშვიდობებისას, დამშვიდობებისას ქართული ენა იყენებს ფორმულებს: ღამე მშვიდობისა და ძილი ნებისა: „ღამე მშვიდობისა, ჩემო რძალო და ძილი ნებისა!" (აკაკი); „— ძილი ნებისა, ბატონო გიორგი" (თ. გოგოლი); „— ძილი ნებისა" (ი. იაშვ., თარგმ.).

უკანასკნელ ხანებში ზეპირი გზით გავრცელდა ანალოგიური მნიშვნელობით ხმარებული გამოთქმა — ღამე ნებისა, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სასაუბრო ფორმად არის კვალიფიცირებული („საუბ. იგივეა, რაც ძილი ნებისა"). იგი მიღებულია გამოთქმების — ღამე მშვიდობისა და ძილი ნებისას კონტამინაციის შედეგად. მან ზეპირი მეტყველებიდან სალიტერატურო ენაშიც შეაღწია და ამჟამად აქტიურ კონკურენციას უწევს ამოსავალ გამოთქმებს. „— მაშინ ღამე ნებისა, ჩანთისათვის ხვალ მოდი" (ნ. ქართ. თარგმ.); „-ღამე ნებისა, სერ" (ვ. ჰელ., თარგმ.); „-ღამე ნებისა, ეკამო ნატუმ" (ნ. ძოწენ., თარგმ.); „-მაშ ღამე ნებისა, მისის ალეინ..."(ნ. ძოწენ., თარგმ.); „-ღამე ნებისა..." (ი. იაშვ., თარგმ.), „-ღამე ნებისა, — უთხრა პასუხად დმიტრიევმა" („საუნჯე").

საგულისხმოა, რომ „ღამე ნებისა" ძირითადად თარგმნილ ლიტერატურაში დასტურდება: სათანადო ენებში სიტყვა ღამე (რუს. Доброй ночи, ინგლ. Good nigt, გერმ. Guten Nacht) იხმარება, ყველა შემთხვევაში უპირატესობა ტრადიციულ ფორმულებს უნდა მივცეთ.

უკომენტაროდ

(პრესის ფურცლებიდან)

— ჩვენ პოლიტიკაში ამ კუთხიდან აქტიურად ჩაერთვებით.

— ჩვენ კარგა ხნით ადრე გვქონდა გაცნობიერებული ის შეცდომა, რაც გაერთიანების კუთხიდან გამომდინარეობდა, თუმცა ეს ჩვენგან ნაკლებ გამომდინარეობდა.

— პოლიტიკოსისათვის და ადამიანისთვისაც მთავარი მომენტია, რომ წაგება იცოდეს. მოგებულ შემთხვევაში იოლია ყოფნა.

— იმას, თუ რას აპირებს ხელისუფლება, მართალი გითხრათ, მიუხედავად ჩვენი ურთიერთობისა ბევრ ხელისუფლების ინფორმირებულ ხალხთან, ცოტა ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

— დარღვეულია დანაშაულებრივად ბალანსი რუსეთის სასარგებლოდ და აჭამდე ვითომ ბალანსირებული პოლიტიკა აშკარად ფსევდობალანსისა იყო.

— ზოგიერთი რუსეთის ხელმძღვანელის განცხადებით, თურმე, ნუ იტყვით, ოთხეულის შემდეგ ჩვენ ეყოფილვართ ყველაზე ახლოს ამ კავშირთან წინა მოსამზადებელ პერიოდში პირველ ადგილზე.

— ღმერთმა ნუ ქნას საბჭოთა კავშირის დემონტაჟი, რაც დღეს ემუქრება რუსეთს და თუ ჩვენ შევუშვირეთ ამას თავი აქტიურად, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

— ვიცოდით რა მკითხველის დაინტერესება, ბატონ შოთა კვირაიასთან თავადაც გვქონდა დიდი სურვილი მოგვემზადებინა ინტერვიუ.

რა ენა წახდეს

ერეკლეული

"თუ ხახელებსა და ხიტყვებს ხწორად არ ვიხმართ, მეტყველებაც არ აეწყობა, თუ მეტყველება ვერ აეწყო, ხაქმეც აირევა.

თუ ხიტყვებს ხწორად ვიხმართ, მეტყველებაც ხწორად იმართება. თუ მეტყველება გაიმართა, ხაქმეც ხწორად წარიმართება".

კონფუციი

ენა და პასუხისმგებლობა

პირველად რომ მოვიხმინე ტელევიზიის ეკრანიდან „ფარეხი" „აკრაფის" მაგივრ, „იარაღის ამოღება"– „იარაღის ჩამორთმევის" ნაცვლად, „ბოდიში გადაუხადე" და „მადლობა მოუხადე", კიდევ ზოგი ასეთი ეკრეიზი, რაც, თურმე, სხვასაც ნორმალურ მოქართველეს შეეშნეკა (თუ არ ეკდები აკაკი ბაქრაძეს აღენიშნავს კიდეც ეს საკუბედ, ამის თაობაზე წერდა გასული „ბერეკი ერეკლისა", მაგრამ როგორც ვხედავთ, უშედეგოდ), ვფიქრე, იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ჩემ ეხება მხოლოდ ენის ხიწმინდეს, სტილის მიხედვით ხიტყვის შერჩევას და სხვას არაფერს. ცხოვრებაში სხვა მრავალი უფრო არსებითი ხასიათის ხიძნელე გვაქვს და განა რა ისეთი მნიშვნელობა უნდა ქონდეს იმას, თუ რომელ ხიტყვას იხმარ და ფრაზას როგორ აკეთებ. ვიტყვი ხრულიად გარკვევით: ცხოვრებისეული ხიძნელე, რაც აქარა და რის დაძლევაც მოვიდოდეთ, თ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასახარი და გულსატკენი

„რა არის თქვენი სახელი“?

უცხოეთში გამოცემული „სასაუბრო ქართულის“ შესახებ

Colloquial Georgian

A PHRASE BOOK

ამ ცოტა ხნის წინათ სახლვარგარეთ გამოიცა „სასაუბრო ქართული, ფრაზების წიგნი“ (ინგლისურ ენაზე). ასეთი ნაშრომის დაბეჭდვა ძალიან სასიხარულო და მისასალმელია, მით უმეტეს, როცა ინიციატივა უცხოელებს გაუჩენია, მაგრამ სასაუბრის გაცნობამ ეს სიხარული გაგაუნელა.

აღნიშნული გამოცემა ორმოცდაექვსგვერდიანია. თავდაპირველად ძალზე მოკლე (ერთ გვერდზე) ცნობებია საქართველოს დღევანდელი ვითარების, მისი გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის, ენის, რელიგიის და ქართული სახელის შესახებ. შემდეგ მითითებულია, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ სასაუბრო. აქვე მოკლე ცნობები ქართული ანბანის შესახებ, ანბანთან ერთად.

ძირითადი ტექსტი თხუთმეტ თავადა წარმოდგენილი. პირველ თავში მოცემულია ქართული ასოების ტრანსლიტერაცია ლათინური ასოებით. შემდეგ თემატურად თავმოყრილია მოკლე ფრაზები და სიტყვები ინგლისურ ენაზე ქართული შესაბამისებითური, როგორც ეს მიღებულია ამ ტიპის ნაშრომებში.

წიგნში არსად არის ის წყარო, რასაც ამ სასაუბრეში მოცემული მასალა ეკუთვნა. უფრო მეტიც: არაა მითითებული სასაუბრის შემდგენელი, გამომცემელი, ან როდის და სად გამოიცა იგი.

როგორც სასაუბრის ტექსტიდან ჩანს, 1991 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი.

ერთიანური დაწესებულება (სამეცნიერო ცენტრი), რაც ამ სასაუბრეში ნახსენები, ეს არის Multi-media laboratory. (Room F 2418), რომელსაც შეიძლება მიმართონ დამსურვილებისათვის ქართული ანბანის შემსწავლელებმა.

როგორც ჩანს, დღესათვის სახლვარგარეთ მოითხოვნილება ქართულ სასაუბრეზე ძალიან გაზრდილა. ეს აღნიშნულია სარეცენზიო ნაშრომშიც. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ „ამ ფრაზების წიგნის საჭიროება აშკარა გახდა მაშინ, როდესაც შეურიეთელი შტატების სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომელიც ცდილობდა რუსულად გასაუბრებოდა ქართველ დიპლომატს, საკმაოდ უხეშად უთხრეს: „შეინახე შენი რუსული რუსებისათვის“ (გვ. 3).

ბუნებრივია, ქართული ენის სასაუბრო ბევრი უცხოელისათვის იქნება საჭირო. ასეთად შეიძლებოდა, ეს წიგნიც გამომდგარიყო, რომ არა შეცდომები, რასაც ნაშრომში ეხვდებით. შემდგენელს ქართული ენის სპეციალისტია კონსულტაციით რომ ეხარგებლა, ალბათ, ბევრ შეცდომას აიცილებდა. ეფუძნა წყალობით, ასეთი სპეციალისტები დღესათვის უცხოეთშიც არაა ცოტა.

სასაუბრეში მოცემული ტრანსლიტერაციის მიხედვით, ქართული ანბანის ზოგიერთი ასო არაზუსტადაა ლათინური ასოებით გამოსახული. მაგალითად, ქართული თ და ტ გამოხატულია t ასოთი, ქ და ხ kh ასოებით. არ ჩანს, რა განსხვავებაა ც-სა და წ ასო-ბგერებს შორის.

ჩვენი აზრით, საეჭვოა, აგრეთვე, აქ მოცემული ტრანსლიტერაციის ამგვარი შეთხზვებიც: ქართული ღ და ლათინური hh, ქართული ყ და ლათინური qh, ქართული ჭ და ლათინური tch.

წიგნის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ამ სასაუბრეში საკმაოდ ხშირად გვხვდება გაუმართავი, გრამატიკულად არასწორი ქართული ფრაზები.

სასაუბრეში ზოგჯერ ესა თუ ის ინგლისური სიტყვა ქართულად ზუსტად არ არის თარგმნილი. მაგალითად, Excellent განმარტებულია როგორც არაჩვეულებრივი (გვ. 6), ჩინებულის, საუცხოოს, შესანიშნავის ნაცვლად.

arm ქართულად განმარტებულია როგორც ხელი. ასევე ნათარგმნი hand-იც (გვ. 27). რა იქნა უნდა, arm-ისათვის მართებული იქნებოდა მკლავი.

ხშირ შემთხვევაში ქართულად თარგმნას არაა საკმარისი მხოლოდ ის განმარტება, რასაც სასაუბრეში გვთავაზობენ. დავასახელებთ ორ მაგალითს: „shop ვიხერი“ (გვ. 42), საჭირო დიმატის სიტყვა სავაჭრო; „stormy აღელვებული“ (გვ. 45). აქ საჭირო მითითებარის შესახებაა ლაპარაკი.

საერთოდ, ბევრი ქართული წინადადება ძალზე უხერხულად გამოიყურება. მაგ.: „I am dizzy მე გაბრუებული ვარ“ (გვ. 28), უნდა იყოს თავბრუ მესხმის „I'm constipated მე შეკრული ვარ“ (გვ. 28), აქ კუჭის შეკრულობა იგულისხმება; „I have diarrhea მე მეცალი მაქვს მოშვილი“ (გვ. 29), აქ კი კუჭის აშლილობა ლაპარაკობ. „I have vomited once მე ერთხელ ნავიყენი“ (გვ. 29), აქ ქართული ზმნის მიხედვით შეიძლება რაღაცის ნაყენაც ვიგულისხმოთ, სანაცვლოდ კი პირის ღებინება, გულისრევა იგულისხმება.

ალბათ, კორექტურული შეცდომის შედეგია, როცა ინგლისური pill-ადი ქართულად ამრად არის გადმოტანილი და ეჭმის რჩევა თარგმანში კურნეოსულ შინაარსს იღებს: „One pill once a day ერთი ამრა ერთხელ დღეში“ (გვ. 29).

გამართული ქართულისათვის ყოველად მიუღებელია ისეთი წინადადებები, რომლებიც ასეთრიგენ შესაბამის ინგლისურ ვარიანტებს, საიდანაც ისინი უთარგმნიათ. ასეთი წინადადებები „სასაუბრო ქართულში“ უხვადა: „რა არის თქვენი სახელი?“ (გვ. 8); „რა არის თქვენი გვარი?“, „რა არის თქვენი ოჯახის სახელი?“ (გვ. 17); „რა არის თქვენი ერთგვნება?“ (გვ. 18); „რიდის არის რეისი ფრანკფურტში?“ (გვ. 26); „დაიჭირეთ ხელიქა“ (გვ. 28); „ამინდის პატარა“ (გვ. 45) და სხვა.

გრამატიკულად ასევე გაუსწორებია შემდეგი წინადადებებიც: „უკიცრაკად სად არიან სალარეები?“ (გვ. 25), „ეს მარტერეტებენ ქართული კლასიკოსები“ (გვ. 43).

ქართულისათვის არაა მიღებული პირველი პირის ნაცვალსახელის არსებობა ქვემოთ მოტანილ წინადადებებში: „ეს ვერ გავიგე“ (გვ. 6), „ეს ყური მტკივა“ (გვ. 27), „ეს ვეფხ ჯერ სასუნრის“ (გვ. 35). ასე იგებული წინადადება ინგლისურისათვის ჩვეულებრივია, ქართულისათვის კი — უცხო.

ნაშრომში დაშვებულია ორთოგრაფიული შეცდომებიც. მაგ.: „ფრო გაიკეთ?“ (გვ. 15); „ეფერი ალი ოთახი გაიკეთ?“ (გვ. 36). როგორც ცნობილია, ზემოთ მეტყველების ფრის ერთმარცვლიან სიტყვებში, კითხვით წინადადებაში ხმოვანი გრძელდება, რაც წერილობით არ აღინიშნება. ქართული ზმნა „გაიკეთ“ რაღაცის გატანასაც გულისხმობს, მაშინ როდესაც ზემოთმოყვანილ მაგალითებში ფრიის ან ოთახის ქონა იგულისხმება.

„სასაუბრო ქართულში“ გვხვდება სხვა სახის გრამატიკული, ორთოგრაფიული, სტილისტური და კორექტურული შეცდომებიც. ჩვენ მხოლოდ შენიშვნების ნაწილი წარმოვადგინეთ. სხვებს ალარ ჩამოვთვლით. ერთ საგანგებო წერილში ეს შეუსაბამოებიცა.

„სასაუბრო ქართული“ ამ სახით, ეფექტრობთ, ნაკლებად გამოადგება იმათ, ვისთვისაც განკუთვნილია. სახურველია მისი დახვწა-შესწორება და ხელახლა გამოცემა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ სასაუბრის ავტორი და გამომცემლობა უცნობია. ჩვენი ხურვილია, მოვიძიოთ და ხმა მივაწვდინოთ მათ, თუ ისინი მოისურვებენ სასაუბრის გაუმჯობესება-დახვეწას, მეგობრობ ეროვნულის საზოგადოება მზად არის დასახმარებლად.

რამაზ ძურდაძე

მეთოდიკა

«ვეფხისტყაოსანი სკოლაში»

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსანი“ რომ ჩვენი უმდიდრესი და უძვირფასესი განძია, ამის მტკიცება არავის სჭირდება. ბევრი დიდაქტიკური მოსაზრებაც გამოთქმულა, რათა ღრმად და საფუძვლიანად შეეთვისებინათ იგი. მეტი ინტერესითა და შეგნებულად დაწყებოდნენ ამ საბრძნის წყაროს. ახლაც გასათვალისწინებელია და სასარგებლოა თვით ხალხის მიერ ტრადიციულად შერჩეული ხერხები: გამომეტყველებით წაკითხვა, ზეპირად დასწავლა, საჭირო შეკიბრების სახით კითხვა, ქალთა თე ვაჟთა საკმბარი ადგილების მოსმენა, შეგობრობისა და მიჯნურობის თემის ამსახველი მასალების მოძებნა, თხრობისა და მეტყველების კულტურის ასამაღლებლად საგანგებოდ შერჩეული ნიმუშების გამოყენება...

თანამედროვე პირობებში კიდეე უფრო აქტუალურია ამ „მარგალიტად წყობილი“ გენიალური ქმნილების ახლებურად შესწავლის საკითხების განხილვა-გაანალიზება. ამით დაინტერესებულია ყველა. ამ მეტად საპატიო ამოცანის გადაწყვეტას მიუძღვნა შოთა ჭურდაძემ თავისი მონოგრაფია — „ვეფხისტყაოსანი სკოლაში“. იგი პირველდაწყებითი სწავლებიდან დამამთავრებელ კლასამდე ჯერ თანდათანობით „შეჩვევითი“, მერე ტექსტის მთლიანი და, ბოლოს, გაღრმავებული სწავლების ერთიანი დამუშავების ცდაა.

შოთა ჭურდაძის აზრით, შეიძლება „პოემის სწავლებისას გამოვიყენოთ შემდეგი პრინციპები: I. I—VIII კლასებში პოემის თანდათანობითი „შერჩევითი“ სწავლება, 2. IX კლასში — პოემის ტექსტის მთლიანად სწავლება, 3. X—XI კლასებში პოემის გაღრმავებული სწავლება“ (110). ეს იმას ნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან შეჩვევა ადრევე უნდა დავიწყოთ. ავტორი ავითარებს საყურადღებო მოსაზრებას: მზარდი ზნეობრივი სიკეთით თანეიდანვე უნდა დაამუტტოს, რომ შემდგომში, სწავლისა და ცხოვრების სარბიელზე გამოსულისას, უწყვეტლივ და ხშირად დაუბრუნდეს მას, როგორც ზნეობის, ადამიანობის, გმირობის შთამაგონებელს, ცოდნის მიღების, შშობლიური ენის დაუფლებისა და მეტყველების კულტურის ამაღლების დაუშრეტელ წყაროს. სამართლიანად აცხადებს ავტორი: „ვეფხისტყაოსანი“ ჩვეულებრივი საპროგრამო ნაწარმოები კი არ არის, არამედ სამარადჟამო და სანიადაგო ქმნილებაა, რომელსაც, როგორც ილია ბრძანებდა, „დიდი და პატარა სრა-სასაზლესა და ჯოხში ერთნაირი სიყვარულით კითხულობდა“ (107). ამგვარი ტრადიციებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ავტორი ასაბუთებს, რომ საჭიროა ადრეული ასაკიდან მოწიფულობამდე მისი თანდათანობითი, დოზირებული გაცნობის ერთიანი სისტემის დამუშავება.

თუ ამ თანდათანობითი შერჩევითი პრინციპის გამოყენების დროს მეცნიერული სიზუსტით დაეცავთ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებსა და შესაძლებლობებს, მაშინ ოჯახიდანვე შეიძლება ეჩვეოდეს ბავშვი რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვისა და გამოთქმის მოსმენას. მარტო მისი ბგერობრივ-მუსიკალური ტკბილადობაც მტკიცე საყრდენს ქმნის მხატვრულ-ემოციური აღქმის, სმენისა და ესთეტიკური შეგრძნების გასავითარებლად. ორგანიზებული გამომეტყველებითი კითხვა თანდათან მიიყვანს ბავშვს ტექსტის შინაარსთან. უმცროსკლასელებთან ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ანალიზის საშუალებასაც იძლევა ისეთი ტაპეები, როგორიცაა: „მზისა შუქის ვერ მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების“. „გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე“ და სხვ. ასე მზადდება ნიადაგი პოემის მთლიანი ტექსტის საფუძვლიანად შესასწავლად. საინტერესო მეთოდიკურ მოსაზრებებს ავითარებს შ. ჭურდაძე ასევე „ვეფხისტყაოსნის“ გაღრმავებული პრინციპით სწავლებისათვის X—XI კლასებში, რაც ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების განვითარების მყარი საფუძველია.

ტარეზ ხელაბერიძე

ქრონიკა

სამეცნიერო სესიები

23 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ძველი ქართული ენის კათედრისა და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია — „ორიონის“ ინიციატივით ჩატარდა მზეკალა აკაკის ას. შენიძის დაბადების 70-ე წლისადმი მიძღვნილი სიუბილეო სესია. მოხსენებებითა და მისალმებებით გამოვიდნენ: კ.დანელია, რ. გორდეზიანი, ე. ხინთიბიძე, ს. ჯორბენაძე, ნ. ჯავახიშვილი, თ. ფაშალიშვილი, ალ. ჭინჭარაული, თ. ცკიტიშვილი, დ. თვალთვაძე, ნ. შარაშენიძე, მ. ოდიკაძე, თ. ბოლკვაძე.

25-26 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი. კონფერენცია მუშაობდა ორ სექციაში: ენათმეცნიერების (სექციის ხელმძღვანელები: პროფ. ე. ბაბუნაშვილი, პროფ. ა. ხიდაშელი, დოც. ლ. გეგუჩაძე) და ქართული ლიტერატურის (სექციის ხელმძღვანელები: პროფ. ლ. მენაბდე, პროფ. თ. კიკალეიშვილი, პროფ. რ. მიშველაძე). წაკითხულ იქნა 42 მოხსენება. კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები გამოქვეყნდა.

ახალი წიგნები

„იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონი“ (ქ. გორი, 1995). ლექსიკონი შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო პროფ. შ. ჭურდაძემ. ნაშრომს წინ უძღვის გ. ბურჭულაძის შესავალი წერილი „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის შესწავლისათვის“.

„ქართული სალხური დღეობები“ (რაჭა-ლეჩხუმი). ეთნოგრაფიული მასალა რაჭული და ლეჩხუმური დღეობების შესახებ შეუკრებია ფაფალა გარდაფხაზე-ჭიკოძეს 1937 წელს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნ. აზიკურმა, წიგნის რედაქტორია ისტ. მეცნ. დოქტორი ჯ. რუხაძე. წარმოდგენილი მასალა ჩაწერილია ენობრივი თავისებურებების დაცვით და ამდენად საინტერესოა არა მხოლოდ ეთნოგრაფიათვის, არამედ ენათმეცნიერებისთვისაც, როგორც დიალექტოლოგიური წყარო.

სალომე ბაბუნია, „ბასკურ-ქართულ-ეთნოგრაფიული პარალელები“. წიგნში შედარებულია ბასკეთისა და საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფა; გამოელენილია მიცვალებულთან დაკავშირებული ბასკური წეს-ჩვეულებების ქართული პარალელები. აღსნილია არსებულ მსგავსება-განსხვავებათა არსი. წიგნი განკუთვნილია ბასკურ-ქართული ისტორიული ურთიერთობის მკვლევარ-სპეციალისტთათვის და მკითხველთა დარეთო წრისათვის.

იუზა ევგენიძე, „გრიგოლ ორბელიანი“. წიგნში დაბასიათებულია გამოჩენილი ქართველი პოეტის ბრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, განხილულია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარე. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა დარეთო წრისათვის.

დედაენა და მისი მოამაგენი

139-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ლია გოჩაშვილი) გამართული ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღამაზი საღამოს ფურცლებს მეთერთმეტე ჰუმანიტარული კლასი მასპინძლობდა. მიწვეულნი კი დიდად მოიხიბლნენ დედაენაზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდებით, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონი ეკატერინა ცალქალამანიძის, დამსახურება იყო. მოსწავლეებმა ნათლად წარმოაჩინეს მშობლიური ენისადმი ქართველის დამოკიდებულება, საერთოდ ჩვენი ენის ისტორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა.

საღამოზე მიწვეული ჰყავდათ გაზეთ „ბურჯი ეროვნებისას“ რედაქციის თანამშრომლებიც. საგანგებოდ აღინიშნა ამ გაზეთის როლი ქართული ენის სწავლებისა და მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. მასპინძლებს ბევრ საინტერესო საკითხზე ესაუბრნენ გაზეთის მთავარი რედაქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი და რედაქტორი, დოცენტი რამაზ ჭურდაძე. აგრეთვე, ისნის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი ციცო ზედელაშვილი.

სასიამოვნოა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ამ სკოლაში მაღალ დონეზეა. ეს კი ხსენებული საღამოს ავტორის გარდა, ამ საგნის სხვა მასწავლებლებისა— ქეთევან წერეთლის, დოდო ჯიბლაძის, მარიკა ამილახვრისა და ნონა ჯაველის დამსახურებაა.

უმრავლოს დედაენას ასეთი მოამაგენი.

გაზეთი „თბილისი“, №57, 30 აპრილი, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაგანა

ბურატინო

ბურატინო ბავშვების საყვარელი სათამაშოა,ჩვენც ბურატინოთი თამაშს გასწავლით, მაგრამ სათამაშო ბურატინოთი კი არა, არამედ სიტყვა „ბურატინოთი“. ამ სიტყვისაგან შეიძლება ახალ-ახალი სიტყვები შევადგინოთ. „ბუ“ და „რატი“ შეიძლება პირდაპირ ამოვჭრათ აქედან, ასოების გადაადგილებით კი კიდევ ბევრი ახალი სიტყვა მივიღოთ: ტანი, ნოტა, ბარი, ტურა, ტონი, ტონა, ბოტი, ტორი, რტო, ბინა, ტბა... ამ შედგენილ სიტყვებში არ შეიძლება ასო გავიმეოროთ მეტჯერ, ვიდრე ის საწყის სიტყვაშია. მაგალითად, არ შეგვიძლია შევადგინოთ სიტყვა „ტირი“, რადგან „ბურატინოში“ მხოლოდ ერთი „ი“ გვაქვს.

აბა, ახლა შენ სცადე შეადგინო ახალი სიტყვები გრძელი სიტყვებისაგან: მატარებელი, საყვავილე, პარასკევი.

შენც მოიფიქრე სხვა სიტყვები და [illegible]ერეთ თამაში.

პასუხები წინა ნომერში გამოქვეყნებულ

თამაშზე

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ „თამაში დეპეშებით“. ლუარსაბმა დარეჯანს გაუგზავნა დეპეშა „ჩიხირთმა“ (ჩამოვდივარ, იყიდეთ ხორცი, იყოს რქაწითელი, თართი, მწვადი, არტალა). დარეჯანმა უპასუხა დეპეშით „ბოზბაში“. მკითხველები შეგვეხმიანენ. გთავაზობთ ორ ვარიანტს დარეჯანის დეპეშის ამოხსნისა:

1. ბეჭი, ორაგული, ზუთხი ბლომადაა, არტალა შენ იშოვე.

2. ბოსტნეული ოხრადაა, ზურგიელზე ბოდიში ,არტალა? შენთვის იქნება!

კროსვორდზე

თარაზულად: 4. ცხოველი; 5. ბატი; 7. იხვი; 9. ლეკვი; 11. ჰუნე; 12. ხარი; 13. ლოინი; 15. ტაიჭი; 17. აბგა; 18. ჭუკი; 21. ბოკვერი; 23. ინდაური.

შვეულად: 1. ცხენი, 2. კვიცი; 3. ულაყი; 6. აქლემი; 8. ვეფხვი; 10. კოზაკი; 14. ორბი; 16. ჭაკი; 19. ღოღო; 20. ირაო; 22. ვარია.

როგორ ვიცით ვაჟა-ფშაველას შემოქმედება

ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ პოემას ადგილის სახელი (ტოპონიმი) აქვს სათაურად. ამ პოემაში კიდევ მრავალი ტოპონიმია ნახსენები. ჰორიზონტალურ რიგებში უნდა ჩავწეროთ შესაბამისი ადგილის სახელები და გამოკვეთილ ვერტიკალურ რიგში მივიღებთ ამ პოემის სათაურს.



ყველაზე

ძველი ასო

უძველესმა ასო „O“-მ შეინარჩუნა იგივე მოხაზულობა, რაც დაახლოებით 1300 წელს ჩვენს ერამდე ფინიკიურ ანბანში ჰქონდა.

ლაკონური მიმოწერა

ეიტორ ჰიუგომ და მისმა გამომცემლებმა ერთმანეთს გაუგზავნეს მსოფლიოში ყველაზე ლაკონური წერილები. 1862 წ. მწერალი დასასვენებლად იმყოფებოდა და მოუთმენლად ელოდა თავისი რომანის— „ბანკიცხელების“ გაყიდვის ამბავს. მან მისწერა გამომცემლებს: „?“

პასუხად მიიღო: „!“

ბრძელი წერილი

ინგლისელმა ალან ფორმანმა თავის ცოლს მისწერა წერილი, რომელიც შედგებოდა 1402344 სიტყვისაგან. მან წერილის წერა დაიწყო 1982 წლის 3 იანვარს და დაახრულა 1984 წლის 25 იანვარს.

გავრცელებული წიგნი

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული წიგნია „ბიბლია“, რომელიც სრულად თარგმნილია 314 ენაზე, ხოლო მისი ცალკეული ნაწილები— 1614 ენაზე.

დიდი ლექსიკონი

მსოფლიოში ყველაზე დიდ ლექსიკონად ითვლება „გერმანული ლექსიკონი“ („Deutsches WorterBuch“). მასზე მუშაობა იაკობ და ვილჰელმ გრიმებმა დაიწყეს 1854 წელს, დაასრულეს 1871 წელს. იგი გამოცემულია 33 ტომად და შედგება 34519 გვერდისაგან. მისი ღირებულება დღეს 5425 გერმანული მარკაა.

ყველაზე

სიტყვის ცხოვრება

კუმპა

სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა განმარტებამ: „საპონი... სოფლურად კუმპა“. დიდი ლექსიკოგრაფი ამ სახელს ცალკე არ განმარტავს და მიუთითებს: „საპონი — კუმპა“, ხოლო სიტყვა ტუტეს განხილვისას მიუთითებს „ტუტე — ეს არს ნაცრის წვენი... კუმპასათვის გინა გვარჯილის მიწის წვენი საგვარჯილედ და მისთანანი წვენნი“.

სიტყვა — კუმპა მოხსენებულია დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში, ხოლო ნიკო ჩუბინაშვილი მას ასე განმარტავს: „კუმპა — საპონი. ოსმ. ქონი მოდულებული და გახმობილი სარეცხისათვის“.

კუმპა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საპნის მნიშვნელობით მხოლოდ კახეთში არის დადასტურებული.

ჩვენს ხელთ არსებული მასალით, კუმპალი საპონი ეწოდებოდა საპნის ხარშვის დროს ქვაბის ძირში დარჩენილ საპნის ნარჩენს, რომელიც საქონლის დასაბანად იხმარებოდა, (იგულისხმება რომ საპონი დაბალი ხარისხის იყო). კუმპალი, მთხრობელთა განმარტებით, პატარა//მცირეს ნიშნავდა.

საკვირაველია, რომ კუმპა თავდაპირველად სახლში ნამზად მცირე ზომის საპონს ეწოდებოდა.

აღნიშნული მასალის თანახმად კი იგი დაბალი ხარისხის ნარჩენი საპონია, რომელიც მხოლოდ საქონლის დასაბანად იხმარებოდა.

ვფიქრობთ, წინამდებარე მასალაში სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა შეცვლილია.

ბიბლიის ტექსტის მიხედვით დასტურდება სიტყვა საპნის შესატყვისი შემდეგი სახელები: განსაწმედელი, შენაზავები, მდელო მრეცხლისა ანუ ბალახოვანი საპონი.

რაც შეეხება სიტყვა კუმპას, იგი, როგორც ჩანს, XVII—XVIII საუკუნეების სინამდვილეში დამკვიდრებული იყო და სწორედ ამან განაპირობა მისი ხაზგასმით მითითება სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“.

ქეთევან სიხარულიძე

სამადლობელი

მასწავლებლის სახელი, სადა, მგონი თანამედროვე ახალგაზრდობის ალბ მეტად [illegible] ამის მიზეზი უმრავლა, თუმცა, ყველა მიზეზის მიუხედავად, საქართველოს სტერდება მასწავლებელ! მასწავლებელი ჩვენ ხელინდელ დღეს, უკეთესი ხელინდელ დღისათვის კი უკეთესი მოქმედება საქმრო. მასწავლებელი, ხალ, ეკეთილი... ყველასთვის ასე ნაცნობი, ახლი, შინაური სახელი, რომელიც დღეს, თითქოს, გაუცხობელია... ამ საერთო უთანხლობაში, მაინც ქეთილი, ხნულადი ადამიანი, ადამიანობისა და იმედის გადამრჩენი — მასწავლებელი. აი, ასეთია თბილისის კრ. კოსმიძის სახელობის მე-5 გიმნაზიის ქართველი ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქალბატონი მარიკა მაჟუჩიშვილი, რომელიც ათეული წლებია ღირსეულად ემსახურება თაობების აღზრდას. ქალბატონ მარიკას პროფესიონალიზმი, გულისხმიერება მრავალზის აღნიშნულა, იგი რესპუბლიკაში ცნობილი პედაგოგია.

გვინდა ეს წერილი მცირე სამადლობელი იყოს ამ მზრუნველობისთვის, რაც მან ჩვენს მიმართ, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის პრაქტიკანტი სტუდენტების მიმართ გამოიჩინა. ჩვენთვის ყოველთვის სამახსოვროდ დარჩება მის გვერდით გატარებული წუთები, მისი ყურადღება, სიმაინი შენიშვნები, გაკვეთილები კი— სამაგალითოდ, ეს ჩვენთვის იყო დიდი სკოლა პედაგოგიური დოსტატობის გზაზე.

გმადლობთ, მარიკა მასწავლებელო!

თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის პრაქტიკანტი სტუდენტების სახელით მანანა ჩაჩანიძე

გამოვიდა და იყიდება იამზე გაგუას წიგნი

ლათინური ენა საკითხავი ტექსტები და სავარჯიშოები.

ფასი 3 ლარი. შეგიძლიათ შეიძინოთ თსუ I კორპუსში, 130-ე ოთახში.

კაფია • კაფია • კაფია • კაფია

ჩვენი გაზეთის მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ ცნობილი ენათმეცნიერი და ლიტერატორი ალექსი ჭინჭარაული კაფიის დიდოსტატიც არის. გთავაზობთ ბატონი ალექსის რამდენიმე კაფიას.

ენის სიწმინდისათვის

მშობლიური ენის შერცხვას
ყველა ერი გულმოშიშობს,
თუ არ გჯერათ, დაუკითხეთ
ვინოგრადოვს, მირონს, მიშოპს.
აქ რა არის გასაკვირი,
თუ შენ შენი სხვისას გიჯობს?
ის კი მიკვირს, ზოგი ჩვენი
„ინტელიგენტი“ რომ გიქობს, –
როცა „იჩი“ არა „ტოობს“,
„ტუ“-ს ვინა რჯის, რატომ „იჩობს?“
„ავხა ჯარგით ვერვინ შესცვლის,
თავხა ახლად ვერვინ იშობს!“

რილკეს მთარგმნელ ვახუშტის

რაც რილკესკენ გადამრბანდი,
აღარ გამჯობს სნირი ქუმა,
ყასიდად თუ სადმე ვინმე
ჩაგეპანეგირიკუმა...
რილკეს ენას ახლა სჩაგლობ?
(მაგრე მოღამ ვირი ჯვმა!),
თავის ჯამ-რუმ(ბ)ს მოუარე,
რა გერილკესლირიკუმა?!

იგვი

მომაკვალია ჩვენი ნუგეში,
მე კი მტანჯავენ შავი იჯვები:
შეუმზიან კი ერის უღელში
ჯვიღეჭია გოგო-მიჯვში?

* * *

მართალს ვიცავ და ამისთვის
ნუ მომიხსენებთ აუგად:
რასაც ვინ იცავს „наугад“,
მე ვერ ჩავუთვლი „наука“-დ.

თვითრეკლამა

ალექსი იმათ რიდი ბგავს,
ვინც არამზე არამს ადგმს, –
პროტეჭეუმს არ ცარცვავს და
არამზადემს არ ამზადემს!

გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, № 1686

მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8.

ფასი
40 თეთრი